



საქართველოს უზენაესი სასამართლოს

საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილება

მარინა კვაჭაძე

ელენე ღვინჯილია

ნათია ჯუღელი

დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო
სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო
პრაქტიკაში

თბილისი 2017 წ.

უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების მიერ მომზადებული კვლევა „დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში“ ანალიზებს საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეთა გამოყენების პრაქტიკას. კვლევაში განხილული საქმეები მოიცავს „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვის შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებიდან 2014 წლის მაისიდან 2016 წლის პერიოდს.

კვლევაში ასახულია ძირითადად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებული პრაქტიკა, მიმოხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეები, „სასამართლოს მეგობრის“ (AMICUS CURIE) გამოყენების პრაქტიკა, წარმოდგენილია საერთო სასამართლოს „საუკეთესო პრაქტიკის“ მაგალითები, ასევე სტატისტიკური მონაცემები.

მიგვაჩნია, რომ კვლევა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯულების სფეროში მოღვაწე პირებისთვის, არამედ იურიდიული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის, ასევე ფართო პროფილის იურისტებისთვის.

ავტორები: მარინე კვაჭაძე - საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების უფროსი

ნათია ჯუღელი - საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

ელენე ღვინჯილია - საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების კვლევებისა და ანალიზის ცენტრის უფროსი კონსულტანტი

მთავარი რედაქტორი: პროფ. სამართლის დოქტორი მარინე კვაჭაძე - საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების განყოფილების უფროსი

სტილისტური რედაქტორი: თეა მაისურაძე

ტექნიკური რედაქტორი: თორნიკე ჭიჭინაძე

სარჩევი

აბრევიატურა.....	4
შესავალი	5
კვლევის მეთოდოლოგია	10
საერთაშორისო სამართლებრივი აქტები.....	11
საერთო სასამართლოების პრაქტიკა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მიმართებით	23
დისკრიმინაციის საფუძვლები (ნიშნები).....	36
რელიგია.....	38
სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა.....	45
გენდერული იდენტობა.....	50
სქესი.....	53
შეზღუდული შესაძლებლობა.....	62
პოლიტიკა.....	71
განსჯადობა	75
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები	79
დასკვნა	90
რეკომენდაციები.....	92

აბრევიატურა

CEDAW	ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
UN CRPD	გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ECJ	მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო (ამჟამად ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო)
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
ICCPR	საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

შესავალი

2014 წლის 2 მაისს ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, დისკრიმინაციის შემთხვევებთან ბრძოლის ერთიანი საკანონმდებლო ბაზის შესაქმნელად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ადამიანის უფლებათა დაცვის მზარდი სტანდარტების მიუხედავად, დისკრიმინაცია კვლავ რჩება თანამედროვე მსოფლიოს ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად.

აღნიშნულ საკითხს ეთმობა არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშიც, რომლებშიც შეფასებულია არსებული მდგომარეობა თანასწორუფლებიანობის დაცვის კუთხით და წარმოდგენილია ხარვეზების აღმოსაფხვრელად ეროვნულ დონეზე გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. კერძოდ, „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ“ კომიტეტის 2016 წლის 13 მაისის დასკვნით შეფასებებში¹ აღნიშნულია, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების მიუხედავად, მჭირია სასამართლო გადაწყვეტილებების რაოდენობა, რომლებშიც გამოყენებულია შესაბამისი საკანონმდებლო დებულებები. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პრაქტიკაში სრულყოფილად იმპლემენტაციის მიზნით, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს შეიმუშაოს ყოვლისმომცველი და თანმიმდევრული პოლიტიკა, ასევე უზრუნველყოს დისკრიმინაციის ამკრძალავი ნორმატიული ბაზის პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე სამართალდამცველებისთვის, პროკურორებისთვის, მოსამართლეებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებისთვის სისტემური ტრენინგების დაგეგმვა/განხორციელება. დასკვნით შეფასებებში, ყურადღება გამახვილებულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სისტემური მონიტორინგის ან მონაცემთა შეგროვების მექანიზმის არარსებობაზე. შესაბამისად, კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს დანერგოს მონაცემთა შეგროვების მექანიზმი.²

ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი, საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ 2016 წლის 12 იანვრის ანგარიშში, მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას გაატაროს უფრო ეფექტური ღონისძიებები ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობისა და მექანიზმების დანერგვის მიზნით. კომისარი ასევე მიესალმება

¹ http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CERD/Shared%20Documents/GEO/CERD_C_GEO_CO_6-8_23906_E.pdf

² http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CERD/Shared%20Documents/GEO/CERD_C_GEO_CO_6-8_23906_E.pdf

პარლამენტში სახალხო დამცველის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის საფუძველზეც სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადა უნდა გახანგრძლივდეს სამი თვიდან ერთ წლამდე. ასევე დისკრიმინაციის შესახებ საქმეების განხილვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ომბუდსმენის უფლებამოსილების გაზრდას.³

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის დახვეწის, ტრეინინგების საჭიროების შესახებ რეკომენდაციები და არსებული მდგომარეობის შეფასება კონკრეტული საქმეების მაგალითზე მიმოხილულია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის 2015 წლის დეკემბრის მოხსენებაში (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) საქართველოს შესახებ.⁴ კერძოდ, კომისია გაცემს რეკომენდაციას, სასამართლო და სამართალდამცველ ორგანოთა მოხელეთათვის, გაიზარდოს სატრეინინგო აქტივობები სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთა გამოძიებაზე, ასევე, შეფასდეს ტრეინინგები შედეგობრივი თვალსაზრისით, სასწავლო მოდულების უკეთ დაგეგმვის მიზნით. მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციული მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებსაც. მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, „...რელიგიური უმცირესობები ასევე აწყდებიან პრობლემებს ახალ სალოცავთა აგების მხრივ. კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის ნებართვა რუსთავში ორ წელზე დიდხანს განიხილებოდა, იმის მიუხედავად, რომ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს მშენებლობის ნებართვის გაცემა ჰქონდა დავალებული. მრავალი წლის განმავლობაში მუსლიმთა თემი ბათუმში ვერ ახერხებდა მეორე მეჩეთის მშენებლობაზე ნებართვის მიღებას და რამდენიმე ასეულ მუსლიმს იმის გამო, რომ არსებული მეჩეთი პარასკევის ლოცვებისას ვერ იტევდა, ღია ცის ქვეშ უწევდა ლოცვა ახლომხლო ქუჩებში. საბოლოოდ, მუნიციპალიტეტი დათანხმდა ახალი მეჩეთის მშენებლობას, მაგრამ იმ პირობით, რომ ქალაქის ცენტრიდან საკმაოდ მოშორებით აიგებოდა. იეჰოვას მოწმეებიც ხშირად აწყდებიან პრობლემებს სამეფო დარბაზების მშენებლობასთან დაკავშირებით, როგორც თერჯოლის საქმეში ვნახეთ. შესაბამისად, კომისია იძლევა რეკომენდაციას, რელიგიურ საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული დავები გადაწყდეს სწრაფი, გამჭვირვალე და სამართლიანი გზით. ასევე, სალოცავ დაწესებულებათა მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უარი არ დაეფუძნოს რელიგიურ შეხედულებებს ან ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს და შესაბამისი განცხადებების განხილვა მოხდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის დაცვით”.⁵

დისკრიმინაციული გარემოს შეფასებას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა შესახებ 2016 წლის ანგარიშშიც.⁶ დოკუმენტის თანახმად, „სამუშაო

³ [https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?coeReference=CommDH\(2016\)2](https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?coeReference=CommDH(2016)2)

⁴ <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/country-by-country/georgia/GEO-CbC-V-2016-002-ENG.pdf>

⁵ <http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-GEO.pdf>

⁶ <https://ge.usembassy.gov/ka/human-rights-reports-2016-ka/>

ადგილებზე დისკრიმინაცია ფართოდ იყო გავრცელებული. „საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების“ ცნობით, ადგილი ჰქონდა ასაკის, სექსუალური ორიენტაციისა და გაერთიანებისადმი კუთვნილების საფუძველზე დისკრიმინაციის შემთხვევებს. კომპანიები და საჯარო სამსახურები სამუშაო ადგილებზე ხშირად აწყობდნენ კადრების რეორგანიზაციას, რის შედეგადაც ხდებოდა იმ დაქირავებულთა დათხოვნა, რომლებმაც პენსიის მისაღებად საკვალიფიკაციო ასაკს მიაღწიეს. გარდა ამისა, ვაკანტური თანამდებობის შესახებ განცხადებებში ხშირად მითითებული იყო ასაკობრივი ზღვარი, როგორც წინაპირობა კონკრეტული სამუშაოს დასაკავებლად. „საქართველოს პროფესიული კავშირის გაერთიანების“ ცნობით, ხშირი იყო გაერთიანების წევრობის საფუძველზე შევიწროება, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში, განსაკუთრებით საქართველოს რკინიგზასა და საფოსტო სამსახურში”.⁷

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება წინ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა ქართულმა არასამთავრობო სექტორმა. „ქვეყანაში, სადაც სექსიზმი, ჰომოფობია და ქსენოფობია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, არსებული ანტიდისკრიმინაციული მექანიზმები არასაკმარისი აღმოჩნდა. ამიტომ დღის წესრიგში დადგა კომპლექსური ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შემუშავების საკითხი. გარდა ამისა, სრულყოფილი ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის მიღება ევროკავშირთან ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით საქართველოს მიერ აღებული ვალდებულებაა”.⁸

აღსანიშნავია, რომ სასამართლო წარმოადგენს ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის პრაქტიკაში სრულყოფილად დანერგვისა და თანასწორუფლებიანობის დაცვის მთავარ გარანტს. შესაბამისად, მოსამართლეების შეფასებაზე დამოკიდებული თუ რამდენად სრულდება დისკრიმინაციის ამკრძალავი საკანონმდებლო რეგულაციები და შესაბამის შემთხვევებში, სწორედ მათ უნდა უზრუნველყონ, რომ მსხვერპლს მიეცეს ადეკვატური კომპენსაცია, ხოლო გამოვლენილი დისკრიმინაციული ქმედება არ დარჩეს დაუსჯელი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მოკლედ მიმოვიხილოთ ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების ზოგიერთი ასპექტი.⁹ კერძოდ, მონაცემები ცხადყოფს, რომ წინა წლებთან შედარებით გაზრდილია მოსახლეობის ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ და მიიჩნევა, რომ ქართველი მოსამართლეების 56% იღებს სამართლიან და კანონის უზენაესობაზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას. თვისებრივი კვლევის

⁷ <https://ge.usembassy.gov/ka/human-rights-reports-2016-ka/>
⁸ „კოალიცია თანასწორობისთვის“ ანგარიში - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება, 2015, გვ.5.
⁹ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvlevis-shedegebi-2017.pdf>

ფარგლებში, რესპოდენტებმა შემდეგი სახის შეფასებები გააკეთეს ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტურობასთან დაკავშირებით: „დადებითისკენ შეიცვალა დისკრიმინაციული საქმეების პრაქტიკა მაშინ, როცა დისკრიმინაციულ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკა არ არსებობდა საერთოდ იმიტომ, რომ არც კანონმდებლობა და არც სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა არ იყო ისეთი, რომ წარმატებისთვის მიგედწია. ახლა ასე არ არის, უკვე გვაქვს საწყისი ჩანასახები მსგავსი პრაქტიკის და საკმაოდ კარგიც“.¹⁰ რაც შეეხება ანტიდისკრიმინაციული კანონის აღსრულებას, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელი რესპოდენტები, საკმაოდ სკეპტიკურად აფასებენ მას და საკუთარი პოზიციის გასამყარებლად აღნიშნული კანონის ფარგლებში სასამართლოსადმი მიმართვის შემთხვევების მცირე რაოდენობას ასახელებენ. კვლევის თანახმად, დარღვეულ უფლებებში ცალსახად ლიდერობს შრომითი უფლებები, ყოველმა მეოთხე გამოკითხულმა (ჯამში 25%) მიუთითა შრომითი უფლების დარღვევის თაობაზე. სწორედ აღნიშნულ გარემოებას შეიძლება უკავშირდებოდეს ის ფაქტი, რომ სასამართლოში დისკრიმინაციული მოპყრობის სავარაუდო შემთხვევებზე საქმეები უმეტესწილად გვხვდება შრომით დავებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს სწორედ ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის საერთო სასამართლოების პრაქტიკაში იმპლემენტაციის ეფექტურობის შეფასება. კვლევაში აღწერილი და გაანალიზებულია, როგორ იყენებენ საქართველოს საერთო სასამართლოები დისკრიმინაციული შინაარსის მქონე დავებზე მოქმედ კანონმდებლობას სხვა რელევანტურ საერთაშორისო აქტებთან ერთობლიობაში. ამ მიზნით, შესწავლილ იქნა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებიდან, 2014 წლის 2 მაისიდან 2016 წლის ჩათვლით, საქართველოს მასშტაბით პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ მოწოდებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული წესით განხილულ საქმეებზე მიღებული 77 გადაწყვეტილება/განჩინება.

კვლევაში მიმოხილულია ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკაში არსებული პოზიტიური მიგნებები და ტენდენციები, აგრეთვე ხარვეზები. შესაბამისად, კვლევის დანიშნულებაა, ერთი მხრივ, წარმოაჩინოს სასამართლო გადაწყვეტილებებში დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენაზე მსჯელობისას დისკრიმინაციის სანიმუშო განმარტებები და მეორე მხრივ, მოიხმოს ის შემთხვევებიც, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებები არ შეიცავს ან ნაკლებად შეიცავს საერთაშორისო სტანდარტებს. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის საკითხებზე მდიდარი

¹⁰ ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა, კვლევის საბოლოო ანგარიში, 2017, გვ.28.

საერთაშორისო პრაქტიკა კარგ შესაძლებლობას იძლევა სასამართლოს გადაწყვეტილებები მაღალი ხარისხით იქნეს დასაბუთებული.

საერთო სასამართლოების პრაქტიკაში დისკრიმინაციული შინაარსის მქონე დავებზე მიღებული გადაწყვეტილებების დასაბუთების ხარისხის შეფასებისას, კვლევაში გაკეთებულია შესაბამისი მითითებები ეროვნულ კანონმდებლობაზე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკასა და საერთაშორისო სტანდარტებზე. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და საერთაშორისო აქტებს, რომელთა ხელშემკვრელიცაა საქართველო.

საგულისხმოა, რომ კვლევის ფარგლებში, სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლისას შეფასდა კონკრეტულად დისკრიმინაციასთან დაკავშირებით დასაბუთების სტანდარტები და არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სისწორე.

კვლევაში დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით მიმოხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი და საერთო სასამართლოების სანიმუშო გადაწყვეტილებები. დამატებით, დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, განხილულ იქნა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და სახალხო დამცველის მიერ წარდგენილი სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრებები.

ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების მაგალითების თვალსაჩინოებისათვის, გადაწყვეტილებებიდან ციტირებულია ამონარიდები. აღნიშნული კვლევის მიზანია წარმოჩინდეს, თუ როგორ ვრცლად და სიღრმისეულად იკვლევენ და იყენებენ საქართველოს საერთო სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

კვლევის მეთოდოლოგია

თემის აქტუალობა განაპირობა საქართველოში გახშირებულმა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტების არსებობამ მოწყვლადი ჯგუფების მიმართ.

კვლევის სრულყოფილად ჩატარებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა დისკრიმინაციული შინაარსის მქონე საქმეებზე საერთო სასამართლოების მიერ, 2014 წლის მაისიდან 2016 წლის ჩათვლით, მიღებული გადაწყვეტილებები/განჩინებები. საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა რეგიონის პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებიდან წერილობითი მიმართვის საფუძველზე. სასამართლოებს ეთხოვათ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოეწოდებინათ სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის ყველა ის საქმე, რომელშიც ფიგურირებდა დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დამუშავდა არა მხოლოდ ის საქმეები, სადაც სასარჩელო მოთხოვნაში მკაფიოდ იყო ფორმულირებული დისკრიმინაციული ქმედების აღკვეთა, არამედ ის საქმეებიც, რომლებშიც მხარე (მოსარჩელე, მოპასუხე) დამატებით მიუთითებდა დისკრიმინაციულ მოპყრობაზე ან სასამართლო თვითონ ავითარებდა მსჯელობას ამ მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციული შინაარსის მქონე საქმეებზე უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებების მოძიება განხორციელდა გადაწყვეტილებათა ელექტრონული საძიებო პროგრამის (<http://prg.supremecourt.ge/>) მეშვეობით.

კერძოდ, მოპოვებულ და შესწავლილ იქნა 14 სასამართლოს, მათ შორის. როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოსა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები. კვლევის მიზნებისთვის სულ გაანალიზდა 83 გადაწყვეტილება/განჩინება (ადმინისტრაციული და სამოქალაქო წესით განხილული საქმეები), აქედან გადაწყვეტილება იყო 43, ხოლო განჩინება - 40.

კვლევაში პერსონალური მონაცემების დაცვის მიზნით, მხარეთა ვინაობა გადმოცემულია ინიციალებით.

მთლიანობაში კვლევა, არსებული სტატისტიკის გათვალისწინებით, ნათლად წარმოაჩენს როგორ გამოიყენება საერთო სასამართლოების პრაქტიკაში დისკრიმინაციული შინაარსის მქონე დავებზე ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა და საერთაშორისო აქტები, აგრეთვე, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

საერთაშორისო სამართლებრივი აქტები

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული მექანიზმების ეფექტიანი ფუნქციონირება მოითხოვს კანონმდებლობისა და პრაქტიკის დახვეწის მუდმივი პროცესის უზრუნველყოფას. ადამიანის უფლებათა სტანდარტების განვითარებასთან ერთად სახელმწიფომ უნდა განახორციელოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადაპტირება ახალ რეალობასა და გამოწვევებთან. ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა ქვეყნებისა და საერთაშორისო ინსტიტუტების გამოცდილების გაზიარებას, რაც დაეხმარება სახელმწიფოს, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა საყოველთაოდ აღიარებული სტანდარტებით.¹¹

ადამიანის უფლება - იყოს დაცული დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან, განმტკიცებულია არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, რომელთა შორის აღსანიშნავია „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია“ (შემდგომში - „კონვენცია“ ან/და „ევროპული კონვენცია“).¹² კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად. დისკრიმინაციის შესაძლო ფორმები, რომლებიც ჩამოთვლილია მე-14 მუხლში, ამომწურავი არ არის და დებულება „სხვა სტატუსი“ ფართო დისკრეციას უტოვებს კონვენციის საზედამხედველო ორგანოს, დაადგინოს დისკრიმინაციის არსებობა ისეთ საფუძველზე, რომელიც ნათლად და ერთმნიშვნელოვნად არ არის მოხსენიებული კონვენციის მე-14 მუხლში.¹³

კონვენციის თანახმად, დისკრიმინაციის აკრძალვის უზრუნველყოფა განსაკუთრებით ეფექტიანია იმ თვალსაზრისით, რომ მის სადარაჯოზე დგას ისეთი ინსტიტუცია, როგორცაა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, რომლის

¹¹ კონსტანტინე კორკელია (რედ.) - ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2015, გვ.5.

¹² კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1999 წელს, რის შემდეგაც მას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა ქვეყნის მასშტაბით.

¹³ <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=284>

გადაწყვეტილებები სავალდებულოა აღსასრულებლად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისათვის.

აღსანიშნავია, რომ კონვენციის მიერ დაცული სხვა უფლებებისგან განსხვავებით, დისკრიმინაციის აკრძალვა არის ბლანკეტური ნორმა, რომელიც განიხილება კონვენციისა და მისი ოქმების სხვა მუხლებთან ერთობლიობაში. მას ასევე „პარაზიტ“ ნორმასაც უწოდებენ, ვინაიდან მე-14 მუხლი საზრდოობს სხვა მუხლებით, ანუ ჩვეულებრივ, იგი არ გამოიყენება დამოუკიდებლად და მისი დარღვევა ნაგულისხმები უნდა იყოს რომელიმე სხვა უფლებასთან მიმართებაში.¹⁴ მისი ავტონომიური ბუნება ხაზგასმულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში. მაგალითად, *ბელგიური ლინგვისტიკის* საქმეში¹⁵ სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-14 მუხლი არ არის დამოუკიდებელი იმ გაგებით, რომ ის გამოიყენება მხოლოდ კონვენციით განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო დისკრიმინაციის შესახებ საჩივარს განიხილავს იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებითი უფლება ცალკე აღებული, არ დარღვეულა.¹⁶ მაგალითად, საქმეში *ზარბ ადამი მალტას წინააღმდეგ*¹⁷ მომჩივანი დავობდა, რომ მის მიმართ განხორციელდა სქესის ნიშნით დისკრიმინაცია, ნაფიც მსაჯულის მოვალეობის შესასრულებლად მამაკაცების არაპროპორციულად დიდი რაოდენობით გამოძახებით. ევროპული კონვენციის მე-4 მუხლი კრძალავს იძულებით შრომას. თუმცა მე-4 მუხლის მე-3 პარაგრაფის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ჩვეულებრივი სამოქალაქო ვალდებულებები“ არ ხვდება „იძულებითი შრომის“ ცნების ქვეშ. სასამართლოს შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია არ ფარავს „ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებებს“ (მაგალითად, ნაფიც მსაჯულად მონაწილეობის უფლებას), საქმის ფაქტობრივი გარემოებები ხვდებოდა უფლების ფარგლებში, რადგან რაც წარმოადგენს „ჩვეულებრივ სამოქალაქო ვალდებულებას“ შეიძლება გახდეს „ანორმალური“, როდესაც მისი გავრცელება ხდება დისკრიმინაციული სახით.¹⁸

¹⁴ <https://sangu.ge/images/2015/natiakintsurashvili.pdf>

¹⁵ „ბელგიური ლინგვისტიკის საქმე“ (Relating to certain aspects of the laws on the use of languages in Belgium v. Belgium), N1474/62; N1677/62; N1691/62; N1769/63; N1994/63; N2126/64; 23 ივნისი, ECHR 1968.

(მითითებულ გადაწყვეტილებაში საუბარია მხოლოდ „კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებსა და თავისუფლებებზე“, ვინაიდან ის იქნა მიღებული მანამ, სანამ შემუშავდებოდა კონვენციის დამატებითი მე-12 ოქმი).

¹⁶ Handbook on European non-discrimination Law, Publications Office of the European Union, 2011, p.61.

¹⁷ *ზარბ ადამი მალტას წინააღმდეგ* (Zarb Adami v. Malta), N17209/02, 20 ივნისი, ECHR 2006.

¹⁸ Handbook on European non-discrimination Law, Publications Office of the European Union, 2011, p.62.

თავდაპირველად, კონვენცია მე-14 მუხლის მეშვეობით უზრუნველყოფდა მხოლოდ თავად კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას დისკრიმინაციის გარეშე, რაც რასაკვირველია, დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების პარალელურად, აღარ იყო საკმარისი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ეფექტიანი დაცვის თვალსაზრისით. ამ ფაქტმა და კონვენციის, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის“ ბუნებამ განაპირობა კონვენციის დამატებითი ოქმების მიღება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად. აღნიშნულმა მუხლმა გააფართოვა დისკრიმინაციის აკრძალვის არეალი. კერძოდ, ის აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით უზრუნველყოფილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით და ვრცელდება ასევე ადამიანის ყველა იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების კანონმდებლობითაა დადგენილი. ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ეს შემდეგნაირად განმარტა: „მე-14 მუხლით გათვალისწინებული დისკრიმინაციის აკრძალვა იმ უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობას სცილდება, რომელთა უზრუნველყოფაც თითოეულ სახელმწიფოს კონვენციითა და ოქმებით მოეთხოვება. აკრძალვა ასევე ვრცელდება იმ დამატებით უფლებებზე, რომლებიც კონვენციის ნებისმიერი მუხლის ზოგადი მოქმედების ფარგლებში ხდება და სახელმწიფო თავისი ნებით უზრუნველყოფს“.¹⁹ მე-12 დამატებითი ოქმის განმარტებითი ბარათის თანახმად, მისი მიზანია დისკრიმინაციის წინააღმდეგ დაცვის გაძლიერება, რაც მიიჩნევა ადამიანის უფლებათა უზრუნველყოფის ძირითად ელემენტად.²⁰

განმარტებით ბარათში ასევე ნათქვამია, რომ ოქმი პირებს იცავს ძირითადად სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციისაგან, მაგრამ მან შეიძლება ასევე მოიცვას ურთიერთობები კერძო პირებს შორის, რომლის მოგვარებაც სახელმწიფოს ევალება, მაგალითად, თვითნებურად უარის თქმა სამუშაო ადგილას ან რესტორნებში შეშვებაზე, ან ისეთი სერვისების მიღებაში ხელშეშლა, რომელთა ხელმისაწვდომობაც კერძო პირებზეა დამოკიდებული.²¹

¹⁹ ნანა მჭედლიძე - საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2015, გვ.4.

²⁰ სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ.15.

²¹ Handbook on European non - discrimination Law, Publications Office of the European Union, 2011, p.64.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით აკრძალულია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაცია.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ფორმულირების მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაციის დასადგენად საჭიროა, სახეზე იყოს „განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ ან შედარებით ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ”, რაც ამოცნობად მახასიათებლებს ეფუძნება. პირდაპირი დისკრიმინაციის დროს კუმულაციურად უნდა არსებობდეს შემდეგი: არასახარბიელო მოპყრობა, შედარებითობის ფაქტორი და პიროვნების იდენტიფიკატორი.²² პირდაპირი დისკრიმინაცია შეიძლება მრავალი ქმედებით გამოიხატოს, რომელიც გაიგივებული იქნება არასახარბიელო მოპყრობასთან. მაგალითად, ნაკლები ხელფასის ან პენსიის მიცემა, სოციალური დახმარების გაუქმება ან მის დანიშვნაზე საერთოდ უარის თქმა და ა.შ.

„ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის” მე-14 მუხლის მოქმედების გავრცელებისთვის, ადგილი უნდა ჰქონდეს განსხვავებულ მოპყრობას ანალოგიურ ან არსებითად მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირების მიმართ. სასამართლო აღნიშნავს, რომ „ანალოგიური მდგომარეობა” არ გულისხმობს, რომ შესადარებელი ჯგუფები იდენტური უნდა იყოს. ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მდგომარეობა სრულად ანალოგიური არ არის სხვა პირებთან მიმართებაში და ადგილი აქვს სხვადასხვა ჯგუფების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, ხელს არ უშლის ამ შემთხვევაზე მე-14 მუხლის გავრცელებას. განმცხადებელმა უნდა აჩვენოს, რომ ის არსებითად მსგავს მდგომარეობაში არის იმ პირებთან შედარებით, რომლებიც სხვანაირ მოპყრობას ექვემდებარებიან.²³

შედარებითობის ფაქტორის გათვალისწინება აუცილებელია და ხშირად დავის საგანს არც წარმოადგენს, ვინაიდან ის თავისთავად იგულისხმება. შესაბამისად, ზოგჯერ არც მხარეები და არც დავის განმხილველი ორგანო არ მსჯელობენ მასზე საგანგებოდ. თუმცა რასაკვირველია, შედარებითობის ფაქტორი, როგორც წესი, ცალკე განხილვის საგანია. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა *ლუჩაკის* საქმე,²⁴ სადაც პოლონეთში მცხოვრები ფრანგი ფერმერი ჩიოდა, რომ მას უარი ეთქვა სპეციალური სოციალური დახმარების პოლონურ პროგრამაში ჩასმაზე, რომელიც კონკრეტულად პოლონელი ფერმერების დასახმარებლად შეიქმნა, რადგან ამ პროგრამით სარგებლობა მხოლოდ პოლონელებს შეეძლოთ. სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებელი იყო თანაბარ მდგომარეობაში პოლონელ ფერმერებთან,

²² სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ.26.

²³ კლიფტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Clift v. United Kingdom), N7205/07, 13 ივლისი, § 66 ECHR 2010.

²⁴ ლუჩაკი პოლონეთის წინააღმდეგ (Luczak v. Polan) N77782/01, 27 ნოემბერი, ECHR 2007.

რომლებიც სარგებლობდნენ ამ რეჟიმით, ვინაიდან მას ჰქონდა პოლონეთის მუდმივი რეზიდენტის სტატუსი. იგი ისევე იხდიდა გადასახადებს, როგორც წარმოშობით პოლონელები და, შესაბამისად, თავისი წვლილი შეჰქონდა სოციალური უზრუნველყოფის მექანიზმის დაფინანსებაში. ამავე დროს, იგი მანამდე სარგებლობდა კიდევ ზოგადი სოცუზრუნველყოფის პროგრამით. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი.

მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არსებობს ცალსახა გამონაკლისი, განსაკუთრებით დასაქმების შესახებ ევროკავშირის რეგულაციების სფეროში, როდესაც არ არის საჭირო სათანადო „შედარების“ ობიექტის ძიება. მაგალითად, როდესაც ადამიანის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა ხდება მისი ფეხმძიმობის ნიადაგზე.²⁵ ECJ-ს იურისპრუდენციაში დადგინდა, რომ როდესაც პირი დაზარალებულია ორსულობის ნიადაგზე, ეს იქნება დაკვალიფიცირებული, როგორც სქესობრივ ნიადაგზე განხორციელებული პირდაპირი დისკრიმინაცია და ამ შემთხვევაში არ არის საჭირო შედარებითობის ფაქტორის გათვალისწინება.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სამართლით აღიარებულია, რომ დისკრიმინაცია შესაძლოა მოჰყვეს არა მხოლოდ ანალოგიურ სიტუაციებში პირთა განსხვავებულად მოპყრობას, არამედ ერთი და იმავე მოპყრობის შეთავაზებას განსხვავებულ სიტუაციებში მყოფთათვის. ამ დროს განსხვავებულია არა თვით მოპყრობა, არამედ ამ მოპყრობის ეფექტი, რომელსაც სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სხვადასხვა ჯგუფს მიკუთვნებული ადამიანები.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაპირდაპირ დისკრიმინაციასთან მიმართებით ადგენს: „შესაძლოა, რომ განსხვავებული მოპყრობა იმ ზოგადი პოლიტიკის ან ღონისძიების მავნე შედეგის სახით არსებობდეს, რომელიც, მართალია, ნეიტრალურადაა წარმოჩენილი, მაგრამ დისკრიმინაციულია და ერთ გარკვეულ ჯგუფზე მნიშვნელოვნად უარყოფით გავლენას ახდენს, ვიდრე მსგავს მდგომარეობაში მყოფ სხვა პირებზე.“²⁶

არაპირდაპირი დისკრიმინაციის ელემენტებია: ნეიტრალური წესი, კრიტერიუმი ან პრაქტიკა; მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა დაცულ ჯგუფებზე.²⁷ ის, თუ რას ნიშნავს დებულების, კრიტერიუმისა თუ პრაქტიკის „ნეიტრალური“ ხასიათი, კარგად

²⁵ Dekker v. Stichting Vormingscentrum voor Jong Volwassenen (VJV-Centrum) Plus, Case C-1777/88, 8 ნოემბერი, §12-13, ECJ 1990.

²⁶ დ.3 და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (D.H. and others v. the Czech Republic), [დიდი პალატა], N57325/00, 13 ნოემბერი, ECHR 2007.

²⁷ საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, ევროპის საბჭო, 2015, გვ.9.

ჩანს *შონიტის* საქმეში.²⁸ აღნიშნულ საქმეში მომჩივანი მიუთითებდა, რომ პენსიებს შორის სხვაობა არ ეფუძნებოდა განსხვავებას სამუშაო საათების რაოდენობას შორის. ამგვარად, ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პირებმა მიიღეს ბევრად ნაკლები პენსია სრულ განაკვეთზე მომუშავე პირებთან შედარებით, იმის გათვალისწინებით, რომ მათი სამუშაო დროები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, რაც ისედაც გულისხმობდა ნაკლები პენსიის მიცემას ნახევარ განაკვეთზე მომუშავეთათვის. პენსიის გამოთვლის ეს ნეიტრალური წესი თანასწორად ეხებოდა ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ყველა პირს. თუმცა, რადგან ნახევარ განაკვეთზე მომუშავე პირთა დიდი პროცენტი ქალები იყვნენ, ამ წესს არაპროპორციულად უარყოფითი ეფექტი ჰქონდა ქალთათვის, კაცებთან შედარებით. მოყვანილი მაგალითი არის გარეგნულად ნეიტრალური დებულების, კრიტერიუმისა და პრაქტიკის ნეგატიური ეფექტის ერთ-ერთი კლასიკური გამოვლინება დისკრიმინაციის ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეულ პირებსა თუ ჯგუფებზე.

არაპირდაპირი დისკრიმინაციის მეორე ნიშანია, რომ ნეიტრალურ დებულებას, კრიტერიუმს თუ პრაქტიკას უნდა ჰქონდეს გარკვეულ ჯგუფზე კონკრეტული უარყოფითი ეფექტი. სწორედ ამით განსხვავდება არაპირდაპირი დისკრიმინაცია პირდაპირისაგან, ანუ თუ პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება თავად დისკრიმინაციულ მოპყრობაზე, არაპირდაპირი დისკრიმინაციის დროს ნიშანდობლივია უთანასწოროთა მიმართ თანასწორი მოპყრობის უარყოფითი ეფექტი. ამასთან, ასეთი ეფექტის შეფასებისას, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ისე მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო იკვლევს, „დაცული ჯგუფის“ რამდენად დიდ ნაწილზე იმოქმედა ნეგატიურად კონკრეტულმა დებულებამ, კრიტერიუმმა თუ პრაქტიკამ. ისევე როგორც პირდაპირი დისკრიმინაციის დროს, არაპირდაპირი დისკრიმინაციის შემთხვევაშიც სასამართლოს კვლავ კომპარატორის მოძიება სჭირდება, რათა დაადგინოს რამდენად არის ესა თუ ის მიდგომა და პრაქტიკა ნეგატიური ადამიანთა ერთი ჯგუფის მიმართ მეორესთან შედარებით, რომლებიც იმავე მდგომარეობაში არიან.²⁹

არაპირდაპირი დისკრიმინაციის დასაბუთების სირთულიდან გამომდინარე, სტატისტიკური მონაცემების როლი დიდი და ხშირად გადამწყვეტიცაა. სწორედ სტატისტიკური მონაცემები მიიჩნია სასამართლომ მთავარ მტკიცებულებად *დ.ჰ. და სხვების* საქმეზე. კერძოდ, მან მიუთითა, რომ „ინდივიდის ან ჯგუფის მიმართ პრაქტიკით ან ღონისძიებით მიყენებული შედეგების შეფასებისას, სტატისტიკა, რომელიც კრიტიკული განხილვის შედეგად მიჩნეულ იქნა სარწმუნოდ და მნიშვნელოვნად, ჩაითვლება prima facie მტკიცებულებად, რომელიც მოსარჩელეს

²⁸ სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ.34.

²⁹ <https://sangu.ge/images/2015/natiakintsurashvili.pdf> გვ.99.

მოეთხოვება, რომ წარმოადგინოს.”³⁰ სასამართლოს დიდი პალატა დაეყრდნო იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომლებიც ავლენდა სპეციალურ სკოლებში განთავსებულ ბავშვებს შორის ბოშური წარმომავლობის მოსწავლეთა განსაკუთრებით მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს. სასამართლომ დაადგინა, რომ თუმცა მონაცემები არ შეიცავდა ზუსტ ციფრებს, მაინც აშკარა იყო, რომ სპეციალურ სკოლებში გამწესებული ბოშა ბავშვების რიცხვი არაპროპორციულად მაღალი იყო მთელი ქვეყნის მოსახლეობის შემადგენლობაში მათი ხვედრითი წილის გათვალისწინებით. უფრო მეტიც, ბოშა ბავშვები შეადგენდნენ სპეციალური სკოლების მოსწავლეთა უმრავლესობას. შესაბამისად, მიუხედავად მათი ნეიტრალური ხასიათისა, განათლების სფეროში მოქმედი სახელმწიფო რეგულაციები გაცილებით უარყოფითად მოქმედებდნენ ბოშა ბავშვებზე, ვიდრე არაბოშური წარმომავლობის მოსწავლეებზე, რამაც გამოიწვია სტატისტიკურად არაპროპორციულად მეტი ბოშა ბავშვების გამწესება სპეციალურ სკოლებში სხვა წარმომავლობის მოსწავლეებთან შედარებით.

აღნიშნულ საქმეში მესამე მხარედ ჩართული იყო Interights და Human Rights Watch. მათ მიუთითეს, რომ „სტატისტიკა წარმოადგენდა ერთგვარ გასაღებს, უმთავრეს მეთოდს არაპირდაპირი დისკრიმინაციის მტკიცების საქმეში. როდესაც ღონისძიებები გარეგნულად ნეიტრალური იყო, სტატისტიკა წარმოადგენდა ეფექტიან საშუალებას იმ განსხვავებული შედეგების იდენტიფიკაციისთვის, რაც ამ ღონისძიებების გამოყენებას მოჰყვა საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტის მიმართ. სასამართლომ უნდა შეეფასებინა საქმესთან დაკავშირებული მტკიცებულებების სარწმუნოება, სიძლიერე და შესატყვისობა, აგრეთვე, მათი კონკრეტული კავშირი მოსარჩელეთა სამდურავთან. ამასთან, თუკი სასამართლო დარჩებოდა იმ აზრზე, რომ მხოლოდ სტატისტიკა საკმარისი არ იყო დისკრიმინაციული პრაქტიკის მხილებისათვის, მას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა საერთო სოციალური კონტექსტი, რამდენადაც მისი საშუალებით შესანიშნავად შეიძლებოდა იმის ღრმად განჭვრეტა, თუ რა ზომით, რა ხარისხით იყო დისპროპორციული ის შედეგი, რაც შესაბამისი ღონისძიების გამოყენებას მოჰყვა მოსარჩელეთა მხრიდან.”³¹

დ. 3. და სხვების საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ გარემოებებში მოსარჩელეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები შეიძლებოდა მიჩნეულიყო საკმარისად სარწმუნოდ და მნიშვნელოვნად იმისათვის, რათა აღიარებული ყოფილიყო არაპირდაპირი დისკრიმინაციის პრეზუმფცია.³²

³⁰ დ.3 და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (D.H. and others v. the Czech Republic) [დიდი პალატა],N 57325/00, 13 ნოემბერი, §188, ECHR 2007.

³¹ დ.3 და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (D.H. and others v. the Czech Republic) [დიდი პალატა],N 57325/00, 13 ნოემბერი, §164, ECHR 2007.

³² დ.3 და სხვები ჩეხეთის წინააღმდეგ (D.H. and others v. the Czech Republic) [დიდი პალატა],N 57325/00, 13 ნოემბერი, §195, ECHR 2007.

უნდა ითქვას, რომ არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და არც მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო არ ადგენს კონკრეტულ პროცენტულ მაჩვენებელს, რომლის მიღწევაც იქნებოდა აუცილებელი, რათა სტატისტიკური მონაცემები საკმარისად დამაჯერებლად მიჩნეულიყო არაპირდაპირი დისკრიმინაციის დასაბუთების საქმეში. შესაბამისად, სტატისტიკური მონაცემების შეფასება სრულად არის დამოკიდებული სასამართლოზე, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

და ბოლოს, ევროპული სასამართლო დისკრიმინაციის შესახებ საჩივრის განხილვისას ხელმძღვანელობს შემდეგი ტესტი:



აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებულია დისკრიმინაციის შესახებ საჩივრის განხილვის ორსაფეხურიანი ტესტი. პირველ რიგში, ფასდება მისაღწევი მიზანი, ხოლო შემდეგ - განსხვავებული მოპყრობის ურთიერთქმედება ამ მიზანთან. ის თუ როგორ მოხდება ამ ორსაფეხურიანი ტესტის გამოყენება, დამოკიდებულია იმ ნიშნის ბუნებაზე, რომელსაც ეფუძნება განსხვავებული მოპყრობა. განსხვავებული მოპყრობა შეფასდება დისკრიმინაციულად თუ მას არ აქვს ობიექტური და გონივრული დასაბუთება და არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს ან გამოყენებული საშუალება არ არის მისაღწევი მიზნის თანაზომიერი.³³

ადამიანის უფლებათა სფეროში უნივერსალურ დონეზე მიღებული აქტებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“.³⁴ პაქტის მე-2 და 26-ე მუხლები კრძალავენ დისკრიმინაციას.

³³ The prohibition of Discrimination under European Human Rights Law, European Commission Justice, 2011.

³⁴ საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი: 1994 წლის 3 აგვისტო

საინტერესოა, რით განსხვავდებიან აღნიშნული მუხლები ერთმანეთისგან. მე-2 მუხლის მიხედვით, ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და მის იურისდიქციაში მყოფი ყველა პირისათვის უზრუნველყოს ამ პაქტით აღიარებული უფლებები: რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოების გამო. ე.ი. აღნიშნული დისკრიმინაციას კრძალავს მხოლოდ პაქტით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან მიმართებაში. ხოლო პაქტის 26-ე მუხლის მიხედვით: „თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კანონით თანაბარი დაცვის უფლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისაგან. ეს უკანასკნელი კი არ არის შეზღუდული მხოლოდ პაქტით განსაზღვრული უფლებებითა და თავისუფლებებით დისკრიმინაციის გარეშე სარგებლობით, არამედ აღნიშნული კრძალავს დისკრიმინაციას ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან მიმართებაში. ადამიანის უფლებათა გაეროს კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარში განაცხადა, რომ 26-ე მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას აკრძალონ და იმოქმედონ დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ.³⁵

რაც შეეხება ნათლად ფორმულირებულ დისკრიმინაციის საფუძვლებს, ადამიანის უფლებათა კომიტეტი განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს სქესის ნიადაგზე დაფუძნებულ განსხვავებულ მოპყრობასთან მიმართებით. საქმეში *აველანალი პერუს წინააღმდეგ*³⁶ ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაგმო და პაქტის 26-ე მუხლთან შეუსაბამოდ გამოაცხადა პერუს კანონმდებლობა, რომელიც არ აძლევდა უფლებას ქალებს ეროვნული სასამართლოების წინაშე ოჯახის საერთო საკუთრებასთან დაკავშირებით ედავათ.³⁷

გაეროს „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის³⁸ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად: „მონაწილე სახელმწიფოები იძლევიან იმის გარანტიას, რომ წინამდებარე პაქტში ჩამოთვლილი უფლებები განხორციელებული იქნება რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის,

³⁵ <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=284>

³⁶ აველანალი პერუს წინააღმდეგ (Avellanal v. Peru), N202/1986, ICCPR

³⁷ <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=284>

³⁸ საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი: 1994 წლის 3 აგვისტო.

ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების ან სხვა გარემოებათა მიხედვით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე”.

ყურადღებას იმსახურებს გაეროს ფარგლებში მიღებული რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტი. მაგალითად, როგორცაა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ” კონვენცია.³⁹ წინამდებარე კონვენციაში ფრაზა „რასობრივი დისკრიმინაცია” აღნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამორიცხავს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას, რასის, კანის ფერის, საგვარეულო, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ ან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა თანასწორობის საწყისებზე ცნობის, გამოყენების ან განხორციელების მოსპობას ან შელახვას.

ასევე მნიშვნელოვანია გაეროს კონვენცია „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”.⁴⁰ ეს უკანასკნელი ორიენტირებულია კონკრეტული სამიზნე ჯგუფის - ქალების მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრისაკენ. აღნიშნული კონვენცია, დისკრიმინაციას კრძალავს მხოლოდ სქესის ნიადაგზე: „ამ კონვენციის მიზნებისათვის ცნება „დისკრიმინაცია ქალთა მიმართ” ნიშნავს ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისობას ან შეზღუდვას სქესის ნიშნით, რომელიც ლახავს ან არარად აქცევს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, მოქალაქეობრივ ან სხვა რაიმე სფეროში მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ქალთა მიერ, მათი ოჯახური მდგომარეობის მიუხედავად, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარებას, სარგებლობასა და განხორციელებას”. 1992 წელს CEDAW კომიტეტის მიერ გამოცემულ ზოგად რეკომენდაცია N19-ში აღინიშნა, რომ კონვენციის პირველი მუხლი, რომელიც განმარტავს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას, მოიცავს გენდერული ნიშნით ძალადობას. კომიტეტის განმარტებით, გენდერული ნიშნით ძალადობა არის დისკრიმინაციის ფორმა, რომელიც სერიოზულად აფერხებს ქალის შესაძლებლობას ისარგებლოს უფლებებითა და თავისუფლებებით კაცთან თანასწორობის საფუძველზე. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი მიუთითებს მჭიდრო კავშირზე ქალთა დისკრიმინაციას, გენდერულ ძალადობასა და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა დარღვევას შორის. შესაბამისად, გენდერული ნიშნით ძალადობა წარმოადგენს ქალთა უფლებების პირდაპირ დარღვევას და ხელს უწყობს მათ უუნარობას სრულად

³⁹ საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი: 1999 წლის 2 ივლისი.

⁴⁰ მიღების თარიღი: 1994 წლის 22 სექტემბერი.

ისარგებლონ მთელი რიგი სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებებით.⁴¹

გაეროს ფარგლებში დადებულ ხელშეკრულებებს შორის შედარებით ახალია 2006 წლის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენცია (UN CRPD).⁴² კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს უზრუნველყონ კანონის წინაშე ყველა პირის თანასწორუფლებიანობა. კონვენცია, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაციისგან დაცვაზე და სახელმწიფოებს მოუწოდებს, თანასწორუფლებიანობის ხელშეწყობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიზნით, მიიღონ შესაბამისი ზომები გონივრული მისადაგების პრინციპის დასაწერად.⁴³

დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ჩანაწერი გვხვდება გაეროს 1989 წლის „ბავშვის უფლებების შესახებ“ კონვენციაში.⁴⁴ კერძოდ, კონვენციის მე-2 მუხლი ცალსახად ადგენს მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას, პატივი სცენ და უზრუნველყონ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი ყველა ბავშვის კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება, რაიმე დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების, მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების, ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად.

1981 წლის გაეროს დეკლარაციის, „რელიგიური მრწამსის საფუძველზე დისკრიმინაციისა და არატოლერანტობის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, პირველი მუხლი ადგენს ყველასთვის აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, უფლებას, რომელიც მოიცავს: „რელიგიური ან სხვა ნებისმიერი შეხედულებების ქონას საკუთარი სურვილის შესაბამისად, ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამყლავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით. თუმცა დეკლარაცია ითვალისწინებს ამ უფლების შეზღუდვის შემდეგ ლეგიტიმურ საფუძველსაც: თუ ასეთი შეზღუდვა გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. დეკლარაციის მე-2 მუხლი კრძალავს რელიგიური ან სხვა შეხედულების საფუძველზე პირის ან პირთა ჯგუფის

⁴¹ კავშირი „საფარი“, ფემიციდი - დისკრიმინაციული დანაშაული და მასთან ბრძოლის სახელმწიფო ვალდებულება, 2016, გვ.17.

⁴² საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2014 წელს.

⁴³ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის მე-5 მუხლი.

⁴⁴ კონვენციის საქართველოში ძალაში შესვლის თარიღია 1994 წლის 2 ივლისი.

დისკრიმინაციას. აღნიშნული ნიშნით არატოლერანტობის გამოხატვა ან დისკრიმინაციული მოპყრობა ნიშნავს „ნებისმიერ განსხვავებას, გამონაკლისს, შეზღუდვას ან უპირატესობის მინიჭებას რელიგიური მრწამსის ან სხვა შეხედულების ქონის საფუძველზე, რომელიც მიზნად ისახავს ან შედეგად განაპირობებს თანასწორუფლებიანობის დარღვევას.

დამატებით, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ჩანაწერი მოცემულია „ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებისადმი მიკუთვნებულ პირთა შესახებ“ გაეროს 1992 წლის დეკლარაციაშიც. აღნიშნული დოკუმენტი კონკრეტულად ფოკუსირდება უმცირესობათა უფლებებზე და კრძალავს უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

დისკრიმინაციის გარეშე შრომის ხელმისაწვდომობის აუცილებლობას განამტკიცებს „შრომისა და საქმიანობის სფეროში დისკრიმინაციის შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) 1958 წლის N111 კონვენცია,⁴⁵ რომელიც ადგენს სამუშაოს თანაბარ ხელმისაწვდომობას ყველასთვის, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

⁴⁵ საქართველოში ძალაში შესვლის თარიღი: 1960 წლის 15 ივნისი.

საერთო სასამართლოების პრაქტიკა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან მიმართებით

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და მათი ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებებში გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. მით უფრო მაშინ, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებები წარმოადგენენ საქართველოს კანონმდებლობის ნაწილს, ნორმატიულ აქტს.⁴⁶

საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი ეროვნულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანია. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია, ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებას, შეთანხმებას და კანონს“. კანონის ამ დებულებიდან გამომდინარეობს, რომ მოსამართლე, საქართველოში მოქმედ სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად, იყენებს საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, როგორც საქართველოს ნორმატიულ აქტს და სასამართლო საქმის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნორმებით.⁴⁷

საერთაშორისო აქტების გამოყენება ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში ეროვნული სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას უწყობს ხელს. ბოლო წლებში, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება მართლმსაჯულების განხორციელებისას. აქ იგულისხმება არა მხოლოდ კონვენციის ნორმებზე მითითება, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენება,

⁴⁶საერთაშორისო ხელშეკრულებათა როლი საქართველოს კანონმდებლობაში განისაზღვრა როგორც საქართველოს კონსტიტუციით, ისე სხვა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტებით, მათ შორის კანონებით: „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ (1997) და „ნორმატიული აქტების შესახებ“ (2009).

⁴⁷ ირ.ქურდაძე, კ.კორკელია - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2003.

რომლითაც განიმარტება კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების შინაარსი და მოცულობა.⁴⁸

სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების შესწავლა საშუალებას იძლევა გავანალიზოთ, თუ როგორ ხდება, ერთი მხრივ, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენება, ხოლო მეორე მხრივ, როგორ იყენებენ სასამართლოები საერთაშორისო აქტებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს სასამართლოს გადაწყვეტილებებში (იხ. ცხრილი N2 და ცხრილი N3).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საერთაშორისო პრაქტიკისა და განზოგადების განყოფილების მიერ შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა დისკრიმინაციული შინაარსის მქონე საქმეებზე საერთო სასამართლოების (რაიონული/საქალაქო სასამართლოების, სააპელაციო სასამართლოებისა) მიერ 2014 წლის მაისიდან 2016 წლის ჩათვლით მიღებული გადაწყვეტილებები/განჩინებები. კერძოდ, დამუშავებულ იქნა 77 გადაწყვეტილება/განჩინება (ადმინისტრაციული და სამოქალაქო წესით განხილული საქმეები), აქედან გადაწყვეტილება იყო 43, ხოლო განჩინება - 34 (იხ. ცხრილი N1).

ცხრილი N1.

	სულ	განჩინება	გადაწყვეტილება
თბილისის საქალაქო	20	9	11
თბილისის სააპელაციო	22	15	7
ქუთაისის საქალაქო	2	0	2
ქუთაისის სააპელაციო	14	9	5
რუსთავის საქალაქო	3	0	3
ბათუმის საქალაქო	3	0	3
გორის რაიონული	2	0	2
სიღნაღის რაიონული	1	0	1
სამტრედიის რაიონული	2	0	2
ახალციხის რაიონული	2	0	2
ზუგდიდის რაიონული	3	0	3
ზესტაფონის რაიონული	2	0	2
ხელვაჩაურის რაიონული	1	1	0


2014-2016 წლების სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სასამართლოსადმი მიმართვის მხრივ მკვეთრად აქტიურობს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით პირველი ინსტანციის სასამართლოებში დისკრიმინაციული მოპყრობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით სულ განხილულია 41 საქმე, აქედან უმეტესი რაოდენობა - 28 საქმე ფიქსირდება აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო დასავლეთ საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებს განხილული აქვთ სულ 13 საქმე. კერძოდ,

⁴⁸ კონსტანტინე კორკელია (რედ.) - ადამიანის უფლებათა სტანდარტების გავლენა საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, თბილისი, 2015, გვ.142.

დისკრიმინაციული მოპყრობის სავარაუდო ფაქტთან დაკავშირებით ყველაზე მეტი მიმართვა ფიქსირდება თბილისის საქალაქო სასამართლოში (20 საქმე), საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ, განხილულ საქმეთა რაოდენობით მეორე ადგილზეა რუსთავის საქალაქო სასამართლო (3 საქმე), რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, დისკრიმინაციასთან დაკავშირებით თანაბარი რაოდენობის (3-3 საქმე) საქმეა განხილული ბათუმისა და ზუგდიდის სასამართლოებში.

2014-2016 წლებში თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებს განხილული აქვთ სააპელაციო წესით გასაჩივრებული 36 საქმე, აქედან გადაწყვეტილება იქნა მიღებული 12 შემთხვევაში, ხოლო 24 საქმეზე გამოტანილ იქნა განჩინება.

ცხრილი N2.




■ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 და ამავე კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი

■ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები დისკრიმინაციის შესახებ

■ სტრასბურგის პრეცედენტული სამართლი და სხვა საერთაშორისო აქტები

■ განხილულ გადაწყვეტილებათა/
განჩინებათა რაოდენობა



ეროვნული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთო სასამართლოები დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტზე მსჯელობისას ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 და ამავე კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლებს.

აღსანიშნავია, რომ ყველაზე ხშირად თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები იყენებენ სტრასბურგის პრევედენტულ სამართალს. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს სასამართლოების მონაცემებს, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებებში ფიქსირდება ევროპული სასამართლოს პრევედენტული გადაწყვეტილებების გამოყენების პრაქტიკა.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ნორმების გამოყენება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოყენების შედეგად სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც იგი ვერ მიიღებდა კონვენციის გამოყენებლად. თუ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (მაგ. კანონის) გამოყენების შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იდენტური იქნება იმ გადაწყვეტილებისა, რომლის მისაღებად სასამართლომ

გამოიყენა როგორც კანონი, ისე საერთაშორისო აქტი, ამ უკანასკნელის გამოყენებას მიენიჭება უმნიშვნელო როლი. ასეთ შემთხვევაში კონვენცია პრაქტიკულად, არანაირ გავლენას არ მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

სასამართლო საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოყენებულმა საერთაშორისო აქტებმა ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა გავლენა არ იქონია სასამართლო გადაწყვეტილებებზე ან მათი გავლენა ძალზედ უმნიშვნელოა. უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო მას იყენებს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (აქტებთან) ერთად.

უმეტესად, დისკრიმინაციის საკითხებთან მიმართებით, მოსამართლე იხილავს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმას, რის შემდეგაც ციტირებას ახდენს ან/და აანალიზებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-14 მუხლსა და ამავე კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლს. ამის შედეგად, სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტითა და საერთაშორისო აქტით დადგენილი სტანდარტები მსგავსია და სასამართლო ამ ორი აქტის საფუძველზე წყვეტს სასამართლო დავას.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის (საქმე N2/56-16) გადაწყვეტილებიდან ამონარიდი:

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამავე მუხლის მეორე და მესამე ნაწილის შესაბამისად,

პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

სასამართლო განმარტავს, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია მოხსენიებული და განსაკუთრებით მიუთითებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმომშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა ნიშნისა.

ზემოაღნიშნული მე-14 მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც კრძალვას დისკრიმინაციას მხოლოდ კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით, კონვენციის მე-12 ოქმის პირველი მუხლის თანახმად, კანონით დადგენილი, ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმომშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა; დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.

ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აკრძალვასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები კრძალავს ყველა სახის განსხვავებულ მოპყრობას. სასამართლო მიუთითებს, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლის საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო აქტებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებებში, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: მოსამართლეები უმეტეს შემთხვევაში აკეთებენ მხოლოდ მითითებას სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ყოველგვარი სიღრმისეული მსჯელობის გარეშე, თუმცა პრაქტიკაში გვხვდება ისეთი საქმეებიც, რომლებშიც ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სათანადო ფორმითაა მოხმობილი. მაგალითად, პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის (საქმე N21330-15) გადაწყვეტილება, სადაც დეტალურად არის მიმოხილული სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც შემდგომ ზედმიწევნით ზუსტად არის მისადაგებული და ნათლად გაანალიზებული საქმეზე არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ჭრილში.⁴⁹

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის (საქმე N21330-15) გადაწყვეტილებიდან ამონარიდი:

გამოკვლევის გარეშე, კოლექტიური განცხადებების და მხოლოდ სხვათა შეხედულების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შეფასებულია როგორც დარღვევა. საქმეში *ა.ბ. საბერძნეთის წინააღმდეგ* ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომლებმა დაიწყეს ჩივილი ხელმძღვანელობასთან, ვინაიდან უწევდათ აივ-დადებით ადამიანთან მუშაობა და მოითხოვეს მისი გათავისუფლება. საჩივრის ავტორები აცხადებდნენ, რომ კომპანიაში გამეფებული ჰარმონიული გარემო შეირყეოდა, თუკი ეს თანამშრომელი მათთან დარჩებოდა. დამქირავებელმა მოთხოვნა დააკმაყოფილა. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, „მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად კომპანიაში ჰარმონიული სამუშაო გარემოს შენარჩუნება დასახელდა, არ არსებობდა ეჭვი, რომ ეს განაპირობა აივ-დადებითი სტატუსის შესახებ ინფორმაციამ. აშკარა იყო, რომ მისმა გათავისუფლებამ განაპირობა ადამიანის სტიგმატიზება, რომელსაც მიუხედავად აივ-ინფექციისა, არ გამოუვლენია დაავადების სიმპტომები. ამ ღონისძიებას არ შეიძლება არ ჰქონოდა მძიმე შედეგები მის პიროვნებაზე, განსაკუთრებით კი მის მიმართ პატივისცემის გამოხატვაზე, მის პირად ცხოვრებაზე, უდავოა, რომ განმცხადებელს იმაზე ნაკლებად სახარბიელოდ მოექცნენ, ვიდრე სხვა კოლეგებს მოექცეოდნენ, მხოლოდ იმ საფუძველით, რომ მას აივ-დადებითი სტატუსი ჰქონდა“. საქმეზე *კიუტინი რუსეთის წინააღმდეგ* სასამართლომ მიუთითა, რომ „თანამშრომლების სავარაუდო ან გამოხატული ცრუ წარმოდგენა არ შეიძლება აივ-დადებითი თანამშრომლის გათავისუფლებას დაედოს საფუძველად. ამგვარ საქმეზე უნდა განხორციელდეს დამსაქმებლის ინტერესების დაცვის საჭიროების გულდასმით შეფარდება თანამშრომლების ინტერესების დაცვის საჭიროებასთან მიმართებით“. ამ დროს კი ხელმძღვანელობამ „კომპანიის შეუფერხებელ ფუნქციონირებას იგივე მნიშვნელობა

⁴⁹ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N21330-15.

მიანიჭა, როგორც ეს თანამშრომლებმა გაითვალისწინეს და დაუკავშირა თანამშრომლების სუბიექტურ მოსაზრებას ამ საკითხთან მიმართებაში”.

პრეცედენტული სამართლის გაანალიზების შემდეგ, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თქვა, რომ „განსახილველ შემთხვევაშიც, მოპასუხე მხარემ სრულად გაიზიარა მსჯავრდებულთა დამოკიდებულება გ.პ-ს მიმართ, გაიზიარა მათი სუბიექტური აზრი მოსარჩელის, როგორც „უღირსი“ ადამიანის შესახებ და ისე, რომ არ გამოუკვლევიან სასჯელადსრულების დაწესებულების ინტერესების დაცვის საჭიროება, გაათავისუფლა იგი სამეურნეო ნაწილიდან, რითაც ხელყო მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლება”.

შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეების შესწავლამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის უგულვებელყოფის შემთხვევებში უფლების დაცვის საკითხი. საერთო სასამართლოების მოსამართლეები სწორედ შრომით ურთიერთობებთან მიმართებით იყენებენ შედარებით აქტიურად საერთაშორისო აქტებსა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.⁵⁰

აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის (საქმე N3ზ/279-16) გადაწყვეტილებიდან ამონარიდი:

ადამიანის დისკრიმინაცია, განხორციელებული ნებისმიერი ნიშნით და ნებისმიერი პირის/თუ დაწესებულების მიერ, ნებისმიერ ვითარებაში აკრძალულია როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობით; ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხება დისკრიმინაციის შედეგად მოსარჩელის შრომითი უფლების შელახვას, სასამართლო მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლზე, რომელიც აღიარებს შრომის უფლებას, როგორც ადამიანის უმნიშვნელოვანეს სოციალურ უფლებას, რაც გარანტირებულს ხდის პირის თავისუფლებას აირჩიოს შრომითი საქმიანობა და ამასთან, აწესებს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს მოქალაქის შრომითი უფლებები; ასევე ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (საქართველოსათვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან) მე-6 მუხლის თანახმად, მისი მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შრომის უფლებას, რომელიც შეიცავს თითოეული ადამიანის უფლებას საარსებო სახსრები მოიპოვოს საკუთარი შრომით, რომელსაც თავისუფლად აირჩევს ან თავისუფლად დათანხმდება, ან განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ამ უფლების უზრუნველსაყოფისათვის. ასევე 1948 წლის 10

⁵⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/18424-15, N3/4396-14; თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3ზ/279-16; გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/702-15; სამტრედიის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/45-15; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N2/ზ-499.

დეკემბრის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 23-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ყველა ადამიანს აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობების და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება; ყოველ ადამიანს აქვს უფლება თანაბარი შრომის თანაბრად ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.”

სააპელაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს ევროპის სოციალური ქარტიის 24-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომელიც ავალდებულებს მხარეებს, აღიარონ ყველა მუშაკის უფლება, უარი თქვან დასაქმების შეწყვეტაზე, საპატიო მიზეზის გარეშე, ხოლო საპატიო მიზეზი უნდა გამომდინარეობდეს მხოლოდ მუშაკის პროფესიული შესაძლებლობებიდან ან ქცევიდან, ასევე საწარმოს შინაგანაწესიდან; აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ იმ პირობებში, როდესაც დადასტურებულია დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობა, დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმებულის სამსახურიდან განთავისუფლება ნებისმიერი ისეთი საპატიო მიზეზით, რომელიც ფორმალურად შეესაბამება ქარტიის 24-ე მუხლში მოცემულ საპატიო გარემოებებს, შეფასებული ვერ იქნება დასახელებული მუხლით განსაზღვრული დასაქმების შეწყვეტის საპატიო მიზეზად.

სააპელაციო პალატა მიუთითებს საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლზე, როგორც დისკრიმინაციის ამკრძალავ პირდაპირი მოქმედების უზენაეს ნორმაზე, რომლის მიხედვითაც, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” საქართველოს კანონი პირდაპირ უთითებს საქართველოში ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები მოცემულია უშუალოდ სადავო შრომით სამართალურთიერთობის მომწესრიგებელ საქართველოს შრომის კოდექსშიც, რომლის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შრომით და წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია..... ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, დისკრიმინაციად ჩაითვლება პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი შევიწროება, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას, ანდა პირისათვის ისეთი პირობების შექმნას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირთან შედარებით.

სააპელაციო პალატა ზემოთ მითითებული სამართლებრივი ნორმების ანალიზის საფუძველზე მიუთითებს, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილია ყველა სახის განსხვავებული მოპყრობის აკრძალვა, მაგრამ ამასთან, თუ განსხვავებული მოპყრობა განახორციელა სახელმწიფომ, მაშინ ამ განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს ობიექტური და გონივრული გამართლება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად. სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო შემთხვევაში სახეზეა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ისე, რომ მას თან არ ახლავს ობიექტური და გონივრული გამართლება კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, რაც ქმნის წინაპირობებს სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ კერძო და საჯარო დაწესებულებებში შტატების ოპტიმიზაციის მიზნით გამოცხადებულ რეორგანიზაციას, უმეტეს შემთხვევაში, საფუძველად უდევს დისკრიმინაციული მოტივი. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ „მარტოოდენ რეორგანიზაცია დასაქმებულის სამსახურიდან გაშვების საფუძველი არ უნდა გახდეს, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში, ე.წ. „რეორგანიზაციის“ საფუძველით პირის სამსახურიდან გაშვების დისკრიმინაციული მოტივები შეიძლება დაიფაროს. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ მარტოოდენ რეორგანიზაცია დამსაქმებელს დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველების მტკიცების ტვირთისგან არ ათავისუფლებს. მით უფრო, თუ რეორგანიზაციას შტატების შემცირება, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი სამსახურისათვის დასაქმებული უკვე არასაკმარისი კვალიფიკაცია ან სხვა ისეთი გარემოება არ სდევს თან, რაც დასაქმებულის სამსახურიდან გაშვებას შეიძლება დაედოს საფუძველად.“⁵¹

და ბოლოს, საქართველოს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოები შესაძლო დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტზე მსჯელობისას ცდილობენ ხშირად გამოიყენონ საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ (იხ. ცხრილი N3). აღნიშნული კანონი განმარტავს კანონის მიზნებს, დისკრიმინაციის ცნებას, კანონის მოქმედების სფეროს, კანონის ინტერპრეტაციის წესსა და ფარგლებს. ამასთან, კანონში გაწერილია დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით სახალხო დამცველის მანდატი და დისკრიმინაციის საქმეებზე სასამართლოსადმი მიმართვის შესაძლებლობა.⁵²

⁵¹ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N28/4302-15.

⁵² საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული მექანიზმები, კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, 2016.

თავდაპირველად უნდა ითქვას, რომ „კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად” (მუხლი 1).

კანონით ერთმანეთისგან გამიჯნულია პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია, თუმცა მათი აკრძალვა თანაბრად ხდება. „პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით”.⁵³ „ირიბი დისკრიმინაცია არის ისეთი მდგომარეობა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად”.⁵⁴

ამასთან კანონის მეორე მუხლში ჩამოთვლილია ის, თუ რა არ შეიძლება განხილულ იქნეს დისკრიმინაციად: „დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება”.⁵⁵ რაც შეეხება საქმის სასამართლო წესით განხილვას, ამასთან დაკავშირებით ანტიდისკრიმინაციულ კანონში მხოლოდ ზოგადი ჩანაწერია: „ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ,

⁵³ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 13 ოქტომბრის გადაწყვეტილება, საქმე N15797818-3/074-15.

⁵⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N2/56-16.

⁵⁵ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 8 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N3/101-2015.

რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება”.⁵⁶ ხოლო თავად სამართალწარმოების წესი დარეგულირებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით.

საერთო სასამართლოების მოსამართლეები, სწორედ ზემოთ მოცემულ მუხლებს იყენებენ ყველაზე ხშირად თავიანთ გადაწყვეტილებებსა თუ განჩინებებში.

ცხრილი N3.

N	სასამართლო	გამოყენებული საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“	სულ
1.	თბილისის საქალაქო	7	20
2.	თბილისის სააპელაციო	7	22
3.	ქუთაისის საქალაქო	1	2
4.	ქუთაისის სააპელაციო	5	14
5.	რუსთავის საქალაქო	1	3
6.	ბათუმის საქალაქო	3	3
7.	გორის რაიონული	1	2
8.	ზუგდიდის რაიონული	1	3
9.	ზესტაფონის რაიონული	1	2
10.	ხელვაჩაურის რაიონული	-	1
11.	ახალციხის რაიონული	2	2
12.	სამტრედიის რაიონული	-	2
13.	სიღნაღის რაიონული	1	1

⁵⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N2/56-16.

დისკრიმინაციის საფუძვლები (ნიშნები)

დისკრიმინაციის საფუძველი (იგივე „აკრძალული საფუძველი“, „დაცული საფუძველი“, „ნიშანი“, „კრიტერიუმი“) არის პიროვნების ისეთი მახასიათებელი, რომლის ნიადაგზეც ხდება განსხვავებული მოპყრობა ამა თუ იმ უფლების განხორციელებისას. ევროპული ანტიდისკრიმინაციული დირექტივები ითვალისწინებს დისკრიმინაციის საფუძვლების ზუსტ და ამომწურავ ჩამონათვალს, როგორცაა სქესი (სქესობრივი თანასწორობის დირექტივა), სექსუალური ორიენტაცია, უნარშეზღუდულობა, ასაკი, რელიგია ან რწმენა (დასაქმების სფეროში თანასწორობის დირექტივა), რასობრივი და ეთნიკური წარმოშობა (რასობრივი თანასწორობის დირექტივა).⁵⁷

ამ აქტებისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის როგორც მე-14 მუხლი, ისე მე-12 ოქმის 1-ლი მუხლი ითვალისწინებს დისკრიმინაციის საფუძვლებს, რომელთა ჩამონათვალი არ არის ამომწურავი. კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად. იმავე საფუძვლებს ითვალისწინებს კონვენციის მე-12 ოქმის 1-ლი მუხლი. სწორედ კატეგორიამ - „სხვა სტატუსი“, მისცა შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლების გარდა ემსჯელა დისკრიმინაციის ისეთ საფუძვლებზე, როგორცაა უნარშეზღუდულობა, ოჯახური მდგომარეობა, პროფკავშირების წევრობა, საცხოვრებელი ადგილი, ასაკი, სექსუალური ორიენტაცია და ა.შ. შესაბამისად, მე-14 მუხლი განსხვავებულ მოპყრობას კრძალავს არა მხოლოდ „პირადი“ თვისებების გამო, რაც ადამიანის თანამდევნი და პირადი მახასიათებელია, არამედ ისეთი გარემოებების მიხედვითაც, რაც გამოწვეულია მისი სოციალური თუ სხვა მდგომარეობით საზოგადოებაში.

⁵⁷ ნათია კინწურაშვილი - დისკრიმინაციის ძირითადი კონცეპტები საერთაშორისო სამართალში, გვ.5.

განხილულ გადაწყვეტილებებში/განჩინებებში მითითებული დისკრიმინაციის კონკრეტული საფუძვლები (ნიშნები):

	შეზღუდული შესაძლებლობის	მოქალაქეობის	პოლიტიკური	რელიგიის	გენდერული	ეთნიკური	სულ
თბილისის საქალაქო	1	1	5				20
თბილისის სააპელაციო	1		6	1	2	1	22

	რელიგიის	პოლიტიკური	სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა	გენდერული	ასაკის	ორგანიზაციის წევრობის	სულ
ქუთაისის საქალაქო			2				2
ქუთაისის სააპელაციო	2	2	1	2	1	1	14

	შეზღუდული შესაძლებლობის	რელიგიის	პოლიტიკური	გენდერული	ასაკი	ქონებრივი	სულ
ბათუმი	1	1	1				3
ზესტაფონი		1		1			2
რუსთავი		1	2				3
ზუგდიდი			2				3
სამტრედია			2				2
ხელვაჩაური						1	1
სიღნაღი		1					1
ახალციხე		1	1				2
გორი					1		2

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად სასამართლოებს პოლიტიკური და რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით მიმართავენ. კერძოდ, პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოებში განხილულ საქმეთა დაახლოებით 27% შეეხებოდა პოლიტიკური ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციულ მოპყრობას, ხოლო 10% - რელიგიური ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტს.

კვლევის ფარგლებში ეროვნული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, დამატებით ფართოდაა მიმოხილული დისკრიმინაციის ისეთი კონკრეტული საფუძვლები, როგორებიცაა სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, სქესი, შეზღუდული შესაძლებლობები, რელიგიური და პოლიტიკური ნიშნები - ეროვნული გადაწყვეტილებებისა და რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების წარმოჩენის გზით.

რელიგია

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში არ არსებობს რელიგიის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. აღნიშნული სავარაუდოდ, გამოწვეულია რელიგიის დეფინიციის სირთულით.

რელიგიური კუთვნილების ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო მე-2 და 26-ე მუხლები, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი და მე-13 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი და სხვ.

ასევე უნდა ითქვას, რომ ევროპული კონვენციის ფარგლები, რელიგიის ან რწმენის გამო დისკრიმინაციის საკითხებთან მიმართებით, მნიშვნელოვნად ფართოა, რადგან მე-9 მუხლი მოიცავს ცალკე მდგომ უფლებას - აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების სახით.

ევროპული კონვენციით დაცული რელიგიისა და რწმენის არსებითი უფლების შესახებ განხილულ საქმეებში ევროპულმა სასამართლომ ნათელი გახადა, რომ სახელმწიფომ არ უნდა სცადოს რელიგიის ან რწმენის განსაზღვრა. ეს ცნებები მოიცავს „ათეისტებს, აგნოსტიკოსებს, სკეპტიკოსებსა და ამ საკითხებისადმი გულგრილად განწყობილ პირებს“ და შესაბამისად, იცავენ ყველას - „სწამს ან არ სწამს ღმერთი და მისდევს თუ არა აღმსარებლობას“. რელიგია ან რწმენა ძირითადად პირადული და სუბიექტურია და აუცილებელი არ არის მათი დაკავშირება რელიგიური ინსტიტუციებით მოწესრიგებულ რწმენასთან.⁵⁸

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-9 მუხლი იცავს, როგორც უფლებას გწამდეს, ასევე რელიგიის გამოხატვის უფლებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგალითად, აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით.⁵⁹ სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ რელიგიური

⁵⁸ სალვატიონის არმიის მოსკოვის დანაყოფი რუსეთის წინააღმდეგ (The Moscow Branch of the Salvation Army v. Russia), N 72881/01, 5 ოქტომბერი, § 57-58, ECHR 2006

ბესარაბიის მეტროპოლიტენის ეკლესია და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ (Metropolitan Church of Bessarabia and others v. Moldova), N 45701/99, 14 დეკემბერი, § 114, ECHR 2001

ჰასანი და ჩაუსი ბულგარეთის წინააღმდეგ (Hasan and Chaush v. Bulgaria), [დიდი პალატა], N 30985/96, 26 ოქტომბერი, § 62 და 78, ECHR 2000

⁵⁹ ბესარაბიის მეტროპოლიტენის ეკლესია და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ (Metropolitan Church of Bessarabia and others v. Moldova), N 45701/99, 14 დეკემბერი, § 114, ECHR 2001

ორგანიზაციების უფლება - დაარსონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ან/და ასწავლონ თავისი რელიგია, არის კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლება.⁶⁰

აღნიშნულ თემას შეეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული საქმე⁶¹ - ქობულეთში, მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნის ხელის შეშლის ფაქტზე.

მოსარჩელე „ქართველ მუსლიმთა ურთიერთობის“ თავმჯდომარეს - რ. კ-სა და შპს „M&B“-ის დირექტორს - მ.ბ-ს შორის 2014 წლის პირველ აგვისტოს, 1 წლის ვადით დაიდო უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რის საფუძველზეც უძრავი ქონება, მდებარე ქ. ბათუმში, გადაეცა მოიჯარეს. მოსარჩელე გეგმავდა შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას, რომელიც მიზნად ისახავდა აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მუსლიმი მოსწავლეებისთვის განათლების მიღების ხელშეწყობას.

სარჩელში ასევე აღნიშნული იყო, რომ 2014 წლის 10 სექტემბერს, ქობულეთის მოსახლეობამ, რომელიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებს, მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელშეშლის მოტივით, პანსიონთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი შენობის კარზე მიაჭედეს. შეკრების მონაწილეები საკუთარ განცხადებებში და ქცევაში ღიად ავლენდნენ ისლამოფობიურ და თურქოფობიურ დამოკიდებულებებს და დემონსტრაციულად გამოხატავდნენ სიძულვილს ისლამის, როგორც დამპყრობელი რელიგიის მიმართ. მოსარჩელე ასევე მიუთითებდა, რომ შეკრების მონაწილეები აკონტროლებდნენ პანსიონის შენობაში გადაადგილების პროცესს. ამასთან, 15 სექტემბერს პანსიონის შესასვლელთან აღმართეს ხელოვნური ბარიკადები, ადგილზე მუდმივად მორიგობდნენ და სისტემატურად უზღუდავდნენ პანსიონში შესვლის მსურველებს თავისუფლად გადაადგილებას, რასაც იძულებით, მუქარითა და სიტყვიერი შეურაცხყოფით ახორციელებდნენ. გარდა ამისა, სარჩელში აღნიშნული იყო, რომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებს ჰქონდათ ფამილიარული დამოკიდებულება მოპასუხებთან, მათ არ მოახდინეს ხელოვნური ბარიერების დემონტაჟი და არანაირი რეაგირება არ განახორციელეს გამოვლენილ სამართალდარღვევებზე.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელეები მიიჩნევდნენ, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციულ მოპყრობას როგორც კერძო პირების, ისე - ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან. მათი თქმით, მოპასუხე ფიზიკურმა პირებმა უშუალოდ განახორციელეს

⁶⁰ მოსკოვში მცხოვრები იეჰოვას მოწმეები რუსეთის წინააღმდეგ (Jehovah's Witnesses of Moscow v. Russia), N302/02, 10 ივნისი, §102, ECHR 2010.

⁶¹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2-54/15.

დისკრიმინაციული მოპყრობა, რაც მათი მხრიდან რელიგიური სიძულვილისა და შეუწყნარებლობის მოტივით პანსიონის საქმიანობისთვის ხელის შეშლაში გამოიხატა. მოპასუხეები და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფი მოსარჩელებს განგრძობითად არ აძლევდნენ საკუთრების უფლებით, თავისუფლად გადაადგილების, განათლების უფლებითა და რელიგიის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობას პანსიონის შენობასთან დაწესებული მორიგეობის, მუქარის, იძულებისა და აგრესიის გამოვლენის გზით. მოსარჩელები მიიჩნევდნენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაცია ვლინდებოდა კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობაში.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს შეფასებით, საქართველოს კონსტიტუცია - ქვეყნის ძირითადი კანონი, განსაზღვრავს საქართველოში რელიგიისადმი დამოკიდებულების მთავარ პრინციპებს, აგრეთვე განამტკიცებს პიროვნების სინდისის, რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას (საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი). კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. ამასთანავე, კონსტიტუცია ადგენს, რომ აღნიშნულ თავისუფლებათა შეზღუდვა დაუშვებელია, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს (საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი). კონსტიტუციის ფუნდამენტური პრინციპია, რომ ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა (საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი).

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო

არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ პირს სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური ან გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ამავე კანონის მე-3 მუხლის თანახმად კი ირიბი დისკრიმინაცია ისეთი მდგომარეობაა, როდესაც ფორმით ნეიტრალური და არსით დისკრიმინაციული დებულება, კრიტერიუმი ან პრაქტიკა პირს ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო მდგომარეობაში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მდგომარეობა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგის ან ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად. ამავე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ამ მუხლით განსაზღვრულ პირობებში დისკრიმინაცია არსებობს მიუხედავად იმისა, პირს რეალურად აქვს თუ არა ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშანი, რომლის გამოც მის მიმართ დისკრიმინაცია განხორციელდა.

სასამართლო ზემოთ აღნიშნული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე ასკვნის, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ, არ არსებობს კანონით განსაზღვრული მიზანი, განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და იგი დასახული მიზნის არათანაზომიერია.

სასამართლო დასძენს, რომ იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტური სამართლიდანაც. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განურჩევლად. დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.

კონვენციის მე-14 მუხლი ავსებს კონვენციის და მისი ოქმების იმ დებულებებს, რომლებიც მატერიალურ უფლებებს ითვალისწინებს. იგი დამოუკიდებლად

არარსეობს და შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ კონვენციის და მისი ოქმების მატერიალურ-სამართლებრივი დებულებებით უზრუნველყოფილ „უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობასთან“ დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკით, აკრძალულია როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი დისკრიმინაცია როგორც კონვენციის მე-14 მუხლით, ისე მე-12 ოქმის პირველი მუხლით.

ბათუმის საქალაქო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ევროპის სასამართლოს განმარტებაზე, რომლის თანახმადაც იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს კონვენციის მე-14 მუხლის რეგულირების ქვეშ, აუცილებელია, განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიური ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის (*ევეიდა და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*). ევროპულმა სასამართლომ ასევე არაერთგზის აღნიშნა, რომ ძალადობრივი ქმედებების უკან მდგარი დისკრიმინაციული მოტივის გამოვლენა კონვენციის მე-14 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებაა. აღნიშნული ეხება იმ საქმეებსაც, სადაც ძალადობრივ ქმედებებს ადგილი აქვს კერძო პირების მხრიდან. რელიგიურად მოტივირებული ძალადობისა და სისასტიკის თანაბარი საფუძვლით განხილვა იმ საქმეებთან ერთად, რომლებშიც მსგავსი არაფერია მოყვანილი, იმ ქმედებების განსაკუთრებულ ხასიათზე თვალის დახუჭვა იქნებოდა რომლებიც ძალიან დიდ დარტყმას აყენებს ფუნდამენტურ უფლებებს (*ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*).

მოსარჩელები მიუთითებენ, რომ მათ მიერ იჯარით იქნა აღებული ფართი, სადაც გეგმავდნენ მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნას. აღნიშნული მიზნად ისახავდა აჭარის მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები მუსლიმი მოსწავლეებისათვის განათლების მიღების ხელშეწყობას. მოსწავლეები განათლებას საჯარო სკოლებში იღებდნენ, პანსიონში კი მათ 1,5 საათის განმავლობაში უნდა ესწავლათ რელიგია, ხოლო დანარჩენი დრო საშინაო დავალებების მომზადებას და სხვადასხვა სააღმზრდელო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის უნდა დაეთმობთ. მოსარჩელეთა განმარტებით პანსიონის გახსნა შეუძლებელი გახდა სწორედ მოპასუხე ფიზიკური პირების მიერ გამართული საპროტესტო აქციების, ხელშეშლისა და სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

სასამართლო განმარტავს, რომ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალათ მოსარჩელებს, უკავშირდება რელიგიისა და საკუთრების სარგებლობის თავისუფლებას.

სასამართლომ სიღრმისეულად იმსჯელა აზრის, სინდისასა და რელიგიის თავისუფლების უფლებაზე და თქვა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე თავისუფლებას, როგორც ინდივიდუალურად, ასევე სხვებთან ერთად საქვეყნოდ ან განკერძოებით გააცხადოს თავისი რელიგია და რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვით და რიტუალების აღსრულებით, ამავეს იმეორებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება ნიშნავს, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს მოპყრობას, რომლის მიზანია აზროვნების წესის შეცვლა. იგი ნიშნავს, რომ პირს აქვს უფლება, არა მხოლოდ გამოავლინოს თავისი რელიგია და მრწამსი, არამედ თავი შეიკავოს მისი გამოვლენისაგან. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს თავისუფლებას, პირს ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-9 მუხლი იცავს როგორც უფლებას სწამდეს, ასევე რელიგიის გამოხატვის უფლებას, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება, მაგალითად: აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვით და რიტუალების აღსრულებით (*ბესარაბიის მეტროპოლიტენის ეკლესია და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ*) ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევად მიიჩნია საბერძნეთში იელოვას მოწმეებისათვის რელიგიური რიტუალებისათვის განკუთვნილი შენობის გახსნის აკრძალვა (*მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ*). სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ რელიგიური ორგანიზაციების უფლება დააარსონ საგანმანათლებლო დაწესებულებები ან/და ასწავლონ თავისი რელიგია არის კონვენციის მე-9 მუხლით დაცული უფლება.”

ზემოთ აღნიშნულის გაანალიზების შემდგომ ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლის სარგებლობაშიც მოსარჩელებს ხელი შეეშალათ მოპასუხე ფიზიკური პირების მოქმედებით, უკავშირდება სწორედ მოსარჩელეთა უფლებას გამოეხატათ საკუთარი რელიგია სწავლებით. აღნიშნული ასევე მჭიდრო კავშირშია განათლების მიღების უფლებისა და მშობელთა უფლებასთან - ბავშვებმა მიიღონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი).

ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მოპასუხე ფიზიკურ პირებს დაევალებათ ქობულეთში მდებარე ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით, განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა, რაც, გამოიხატება მოსარჩელებისა და პანსიონატთან დაკავშირებული პირების მიმართ საკუთრების უფლებით სარგებლობის, პანსიონში შესვლისა და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების ხელშეშლის შეწყვეტაში.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 19 სექტემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებაში, სრულად დაეყრდნო სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ სასამართლო მეგობრის (Amicus Curiae)⁶² მოსაზრებაში თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით ასახულ ადგილობრივ და საერთაშორისო აქტებს. ასევე უნდა ითქვას, რომ მოსამართლემ საერთაშორისო აქტებისა და სტრასბურგის პრაქტიკის გამოყენების გზით განამტკიცა თავისი გადაწყვეტილების დამაჯერებლობა და მოახდინა გადაწყვეტილების ლეგიტიმაცია.

⁶² <https://drive.google.com/file/d/0B9BM3M8hbgAUWVVXZHhFSWkxRjQ/view>

სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა

ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი პრინციპი ადამიანის თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფაა. დაუმჯობესებელია ადამიანის დისკრიმინაცია, ანუ მათი განსხვავება რაიმე ნიშნით.

სექსუალური ორიენტაციის საფუძველით დისკრიმინაციის საქმეებში ინდივიდი არასახარბიელო მოპყრობის ობიექტი ხდება იმის გამო, რომ იგი გეი, ლესბოსელი ან ბისექსუალია.⁶³

ევროპის მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ, პირდაპირ ამბობს, რომ მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების 15.b მუხლის ფარგლებში „აღიარებს რა, რომ ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანები საუკუნეების განმავლობაში იყვნენ და დღესაც არიან ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და სხვადასხვა სახის შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი (მათ შორის, მათსავე ოჯახებში), როგორცაა კრიმინალიზაცია, მარგინალიზაცია, სოციალური გარიყვა და ძალადობა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე და რომ აღნიშნული ჯგუფის მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად კონკრეტული ქმედებებია საჭირო.“⁶⁴

მართალია, ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი დაცულ საფუძველთა შორის „სექსუალურ ორიენტაციას“ არ მოიხსენიებს, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ იგი მოიაზრება „სხვა“ საფუძველებს შორის.

ევროპული სასამართლო სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით მთავრობის ჩარევას ასევე კრძალავს ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით - პირადი ცხოვრების უფლების შესახებ. ამდენად, თუ აღინიშნა დისკრიმინაციული მოპყრობა ამ საფუძველით, პირს შეუძლია მოითხოვოს მე-8 მუხლის დარღვევის აღიარება, დისკრიმინაციული მოპყრობის არსებობის მტკიცების გარეშე. მაგალითად, საქმეში **დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ**⁶⁵ ევროპულმა სასამართლომ განიხილა ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის ეროვნული კანონმდებლობით იმ დროისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რაც განმცხადებლის აზრით არღვევდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს.

⁶³ სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ.103.

⁶⁴ http://women.ge/data/docs/publications/CM_reccomendation_SOGI.pdf

⁶⁵ დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. The United Kingdom) N7525/76, 22 ოქტომბერი, ECHR 198.

გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჰომოსექსუალიზმის აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად და შესაბამისად, გაერთიანებულ სამეფოს შეედლო კონვენციის მე-8 მუხლის მართლზომიერი შეზღუდვა. მოპასუხე მთავრობა დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოება კონსერვატიულია ზნეობის საკითხებში, რის გამოც, ჰომოსექსუალური ურთიერთობის აკრძალვა გამართლებული იყო. მართალია, ევროპული სასამართლო დაეთანხმა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის შეხედულებას, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოება კონსერვატიულია ზნეობის საკითხებში, მაგრამ მან არ გაიზიარა მტკიცება, რომლის მიხედვით, ჰომოსექსუალიზმისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის არსებობა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებისაგან გამომდინარეობდა და შესაბამისად, ასეთი სასჯელის არსებობა ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის მიზნის პროპორციული იყო. საბოლოოდ, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღნიშნული საკანონმდებლო დებულება, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ჰომოსექსუალური ურთიერთობისათვის, ეწინააღმდეგებოდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლს, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებას, რადგან ეს უკანასკნელი მოიცავდა პირის „სექსუალურ ცხოვრებასაც“.⁶⁶

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა რამდენიმე პრეცედენტული გადაწყვეტილება, რომლებშიც სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინდივიდთა დაცვას, როცა სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ზღუდავს პირადი ღირსების ისეთ არსებით ელემენტებს, როგორცაა პირის სექსუალური ორიენტაცია ან ოჯახური ცხოვრება. მაგალითად, საქმეში *კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ*⁶⁷ ნათლად ჩანს, რომ პირად ცხოვრებაში, კერძოდ, სექსუალურ ცხოვრებაში, ჩარევის გამართლება ძალზე რთულია. აღნიშნული საქმე შეეხებოდა ეროვნული კანონმდებლობის განმარტებას (ქირავნობის აქტის მე-14 თავი), რომლის თანახმადაც, ნათესავი ან „ცხოვრების თანამგზავრი“ ავტომატურად ხდებოდა გარდაცვლილი მეიჯარის უფლებამონაცვლე საიჯარო ხელშეკრულებაში. განმცხადებელი ცხოვრობდა თავის პარტნიორთან - ძირითად მეიჯარესთან ერთად, რომელიც გარდაიცვალა. ეროვნულმა სასამართლოებმა სამართლებრივი ნორმა იმგვარად განმარტეს, რომ მასში ჰომოსექსუალი წყვილი არ მოიაზრეს, თუმცა, იგი ვრცელდებოდა ჰეტეროსექსუალ წყვილზე, რომლებიც ქორწინებაში არ იყვნენ. მთავრობამ აღიარა, რომ ეს იყო განსხვავებული მოპყრობა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე, მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ ასეთი მოპყრობა გამართლებული იყო იმ ტრადიციული ოჯახების დასაცავად, რომლებიც კარგავდნენ თავიანთ საცხოვრებელს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციული ოჯახების დაცვა კანონიერი მიზანია, „სახელმწიფოსთვის

⁶⁶ <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11-11-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL4.5&d=HASHb07e4e79354e15c4f86d59.2&x=1>

⁶⁷ კარნერი ავსტრიის წინააღმდეგ (Karner v. Austria), N40016/98, 24 ივლისი, ECHR 2003.

მინიჭებული შეფასების ფარგლები ვიწროა როცა განსხვავებული მოპყრობის საფუძველია სქესი ან სექსუალური ორიენტაცია.” ევროპულმა სასამართლომ დამატებით აღნიშნა: „პროპორციულობის პრინციპი მხოლოდ იმას არ ნიშნავს, რომ შერჩეული ღონისძიება შესაბამისია მიზნის მისაღწევად.” ასევე უნდა ჩანდეს, რომ დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ადამიანთა გარკვეული კატეგორიის - ამ შემთხვევაში, ჰომოსექსუალების - ამორიცხვა ქირავნობის აქტის მე-14 თავის მოქმედების ფარგლებიდან.” ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოხდა დისკრიმინაცია, რადგან ტრადიციული ოჯახების დასაცავად სახელმწიფოს შეეძლო ისეთი ღონისძიებები გაეტარებინა, რითაც ჰომოსექსუალებს არასახარბიელო მდგომარეობაში არ ჩააყენებდნენ.⁶⁸

სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა, როგორც დისკრიმინაციის აკრძალვის საფუძველები, ფიგურირებს საქართველოს კანონშიც „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”. ისინი არ გვხვდება, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციასა და საერთაშორისო სამართლის ძირითად დოკუმენტებში. აღნიშნული გარკვეულწილად, ხაზს უსვამს მითითებული სოციალური ჯგუფების თანასწორობის უფლების დაცვის მნიშვნელობას.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ⁶⁹ ჰომოსექსუალი მამაკაცი პატიმრის მიმართ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაცია დაადგინა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოცემულია გადაწყვეტილებიდან ამონარიდი:

2014 წელს გ.პ.-ი ციხის ადმინისტრაციამ სამეურნეო ნაწილიდან ამორიცხა. აღნიშნულის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა პატიმართა ჰომოფობიური წერილობითი განცხადების საფუძველზე, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს მიწერეს ამავე დაწესებულების სამეურნეო ნაწილში ჩარიცხულმა 24-მა მსჯავრდებულმა. განმცხადებლები მიუთითებდნენ შემდეგს: „ვართ დაწესებულების სამეურნეო ნაწილში ჩარიცხული მსჯავრდებულები და დაკისრებულ ვალდებულებებს ვასრულებთ პირნათლად, შეძლებისდაგვარად ვშრომობთ და გვესაჭიროება დასვენება, რაზედაც უამრავ პრობლემას გვიქმნის ჩვენივე სართულზე განთავსებული მუშა მსჯავრდებული გ.პ., რომელიც არის შიდსით დაავადებული არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანი, იგი არ ერიდება არც თანამშრომლებს და არც მსჯავრდებულებს, აყენებს სიტყვიერ შეურაცხყოფას და ჩადის ე.წ. „გარყვნილებას”, დასვენების საათებში (ღამით) იწვევს ხმაურს და არ გვაძლევს ნორმალური დასვენების საშუალებას. მას შემდეგ რაც კანონი შევიდა ძალაში (ლ.გ.ბ.ტ.) მის აღვირახსნილ საქციელს საზღვარი აღარ აქვს, თავად წარმოიდგინეთ ასეთი უღირსი ადამიანი დადიოდეს ჩვენ შორის შეღებილი თმებით,

⁶⁸ სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ.105.
⁶⁹ ქუთაისის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 10 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N2/1330-15.

რაც კაბის მსგავსი ტანსაცმლით და იწვევდეს და უბიძგებდეს პატიმრებს მსგავსი აღვირახსნილობისაკენ, სამწუხაროდ ასეთი შემთხვევა უკვე მოხდა... ამიტომ მოგმართავთ თხოვნით: ჩვენს შორის უამრავი პატიოსანი, მშრომელი ადამიანია და ვთვლით, რომ ასეთი უღირსი ადამიანები არ უნდა გვიშლიდნენ ხელს პირნათლად და პატიოსნად შევასრულოთ ჩვენი საქმე. იმედი გვაქვს თქვენი გვერდში დგომის, როგორც მშრომელი, ქრისტიანი და ღირსეული მამაკაცი ყველას მიუჩენთ შესაბამის ადგილს, რაზედაც დიდად მადლობელი დაგრჩებით, ხოლო ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენზე დაკისრებულ საქმიანობას”.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თავდაპირველად განმარტა, რომ „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით, ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენი, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა ნიშნის განურჩევლად. მართალია ევროპული კონვენციის მე-14 მუხლი დაცულ საფუძველთა შორის „სექსუალურ ორიენტაციას“ არ მოიხსენიებს, მაგრამ ევროპულმა სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ იგი მოიაზრება „სხვა“ საფუძველებს შორის, რომელიც არაერთ საქმეშია დაცული მე-14 მუხლით (მაგალითად, საქმეები: *ს.ლ. ავსტრიის წინააღმდეგ*, *ე.ბ. საფრანგეთის წინააღმდეგ*).”

ზემოთ აღნიშნულ კოლექტიურ განცხადებასთან მიმართებით სასამართლომ პირდაპირ მიუთითა, რომ „სასჯელსრულების დაწესებულების ხელმძღვანელმა ისე, რომ არ გამოუკვლივია პატიმართა კოლექტიურ განცხადებაში მითითებული ფაქტების რეალურობა, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძველის გარეშე გ.პ. ამორიცხა სამეურნეო ნაწილიდან, რითაც იგი ჩააგდო არახელსაყრელ პირობებში, კერძოდ, მოუსპო თავისუფალი გადაადგილების უფლება დაწესებულების შიგნით, ასევე მოუსპო შემოსავლის წყარო, ხელფასი, რომელიც შეადგენდა 200 ლარს, ასეთი მოპყრობის საფუძველი კი გახდა განსხვავებული სექსუალური ორიენტაცია.”

სასამართლომ იქვე დასძინა, რომ „გამოკვლევის გარეშე, კოლექტიური განცხადებების და მხოლოდ სხვათა შეხედულებების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ შეფასებულია როგორც დარღვევა. საქმის *ი.ბ. საბერძნეთის წინააღმდეგ* მიხედვით, ერთ-ერთი კომპანიის თანამშრომლებმა დაიწყეს ჩივილი ხელმძღვანელობასთან, ვინაიდან უწევდათ აივ-დადებით ადამიანთან მუშაობა და მოითხოვეს მისი გათავისუფლება. საჩივრის ავტორები აცხადებდნენ, რომ კომპანიაში გამეფებული ჰარმონიული გარემო შეირყეოდა, თუკი ეს თანამშრომელი მათთან დარჩებოდა. დამქირავებელმა მოთხოვნა დააკმაყოფილა. სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით, „მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის გათავისუფლების ოფიციალურ მიზეზად კომპანიაში ჰარმონიული სამუშაო გარემოს შენარჩუნება დასახელდა, არ

არსებობდა ეჭვი, რომ ეს განაპირობა აივ-დადებითი სტატუსის შესახებ ინფორმაციამ. აშკარა იყო რომ მისმა გათავისუფლებამ განაპირობა ადამიანის სტიგმატიზაცია, რომელსაც მიუხედავად აივ-ინფექციისა, არ გამოუვლენია დაავადების სიმპტომები. ამ ღონისძიებას არ შეიძლება არ ჰქონოდა მძიმე შედეგები მის პიროვნებაზე, განსაკუთრებით კი მის მიმართ პატივისცემის გამოხატვაზე, მის პირად ცხოვრებაზე. უდავოა, რომ განმცხადებელს იმაზე ნაკლებად სახარბიელოდ მოექცნენ, ვიდრე სხვა კოლეგებს მოექცეოდნენ, მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მას აივ-დადებითი სტატუსი ჰქონდა.” საქმეზე Kiyutin v. Russia სასამართლომ მიუთითა, რომ „თანამშრომლების სავარაუდო ან გამოხატული ცრუ წარმოდგენა არ შეიძლება აივ-დადებით თანამშრომლის გათავისუფლებას დაედოს საფუძვლად. ამგვარ საქმეზე უნდა განხორციელდეს დამსაქმებლის ინტერესების დაცვის საჭიროების გულდასმით შეფარდება თანამშრომლების ინტერესების დაცვის საჭიროებასთან მიმართებით.” ამ დროს კი ხელმძღვანელობამ „კომპანიის შეუფერხებელ ფუნქციონირებას იგივე მნიშვნელობა მიანიჭა, როგორც ეს თანამშრომლებმა გაითვალისწინეს და დაუკავშირა თანამშრომლების სუბიექტურ მოსაზრებას ამ საკითხთან მიმართებაში.”

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ გააანალიზა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ „განსახილველ შემთხვევაშიც, მოპასუხე მხარემ სრულად გაიზიარა მსჯავრდებულთა დამოკიდებულება გ.პ-ს მიმართ, გაიზიარა მათი სუბიექტური აზრი მოსარჩელის, როგორც „უღირსი“ ადამიანის შესახებ და ისე, რომ არ გამოუკვლევიან სასჯელადსრულების დაწესებულების ინტერესების დაცვის საჭიროება, გაათავისუფლა იგი სამეურნეო ნაწილიდან, რითაც ხელყო მოსარჩელის პირადი ცხოვრების უფლება.”

გენდერული იდენტობა

აქვე უნდა შევეხოთ გენდერული იდენტობის საკითხს, რომელიც ეხება „თითოეული ადამიანის მიერ გენდერის ღრმა შინაგან და ინდივიდუალურ განცდას, რომელიც შესაძლოა არ ემთხვეოდეს სქესს, დაბადებისას რომ მიაკუთვნეს. ეს უკანასკნელი მოიცავს სხეულის პერსონალურ აღქმას (რასაც შესაძლოა ნებაყოფლობით მოჰყვეს სხეულის გარეგნული ან ფუნქციური მოდიფიკაცია სამედიცინო, ქირურგიული ან სხვა საშუალებებით) და სხვა გენდერულ გამოხატულებებს, როგორცაა ჩაცმა, საუბარი და მანერები”.⁷⁰ ამგვარად, გენდერული იდენტობის განმარტება მოიცავს არა მხოლოდ მათ, ვინც ქირურგიული ჩარევით სქესს იცვლის (ტრანსსექსუალები), არამედ იმათაც, რომლებიც თავისი გენდერის გამოხატვის სხვა ფორმებს ირჩევენ, მაგალითად, ტრანსვესტიტებს ან იმ პირებს, რომლებიც საპირისპირო სქესისათვის დამახასიათებელი საუბრის მანერით გამოირჩევიან ან მათი კოსმეტიკით სარგებლობენ.

შლუმპფი შვეიცარიის წინააღმდეგ⁷¹ - წინამდებარე საქმე ეხებოდა სადაზღვევო კომპანიის უარს, მომჩივნისათვის სქესის შეცვლის ოპერაციის ხარჯები აენაზღაურებინა; მათი უარი ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ მომჩივანმა, ოპერაციის ჩატარებამდე, არ შეასრულა ორწლიანი ლოდინის პერიოდი, რაც პრეცედენტული სამართლის მიხედვით მსგავსი ოპერაციების ხარჯების ანაზღაურებისათვის აუცილებელი იყო. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ოპერაციის ჩატარებამდე ლოდინის პერიოდი გამოიყენებოდა მექანიკურად, მომჩივნის ასაკის (67 წელი) მხედველობაში მიღების გარეშე. აღნიშნულ დაყოვნებას შესაძლებელია, გავლენა ჰქონოდა მომჩივნის მიერ ოპერაციის ჩატარების გადაწყვეტილებაზე, ამრიგად, ზიანი ადგებოდა მის უფლებას, განესაზღვრა საკუთარი გენდერული იდენტობა.

ლ. ლიტვის წინააღმდეგ⁷² - წინამდებარე საქმე ეხებოდა სახელმწიფოს მიერ კანონმდებლობის წარმოდგენის განუხორციელებლობას, რომელიც ტრანსსექსუალებს უფლებას მისცემდა სქესის შეცვლის ოპერაცია ჩატარებინათ და აღნიშნული ცვლილება ოფიციალურ დოკუმენტებში დაეფიქსირებინათ.

⁷⁰ სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ.98.

⁷¹ შლუმპფი შვეიცარიის წინააღმდეგ (Schlumpf v. Switzerland) N29002/06, 8 იანვარი, ECHR 2009.

⁷² ლ. ლიტვის წინააღმდეგ (L. v. Lithuania) N27527/03, 11 სექტემბერი, ECtHR 2007, ობ.

<http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-16-39-43/44-2014-05-22-16-43-30>

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-3 მუხლი (წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აკრძალვა) არ დარღვეულა. მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანი განიცდიდა ტანჯვასა და აშლილობას, გარემოებები არ იყო ინტენსიური ხასიათის, რომელიც მოიცავდა განსაკუთრებულ, სიცოცხლისათვის საშიშ პირობებს, რათა მოხვედრილიყო ევროკონვენციის აღნიშნული მუხლის ფარგლებში.

სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება). ლიტვური კანონმდებლობა აღიარებდა ტრანსსექსუალების არა მხოლოდ სქესის, არამედ სამოქალაქო სტატუსის შეცვლის უფლებას. თუმცა კანონმდებლობაში არსებობდა ხარვეზი იმ თვალსაზრისით, რომ არ არსებობდა კანონი, რომელიც აწესრიგებდა სქესის შეცვლის ოპერაციას. მოცემულმა ხარვეზმა მომჩივანი საკუთარ პირად ცხოვრებასა და მისი ნამდვილი იდენტობის აღიარებასთან დაკავშირებით უსიამოვნო გაურკვევლობაში დატოვა. ჯანდაცვასთან დაკავშირებულ საბიუჯეტო შეზღუდვებს შეეძლო გაემართლებინა სამოქალაქო კოდექსში ტრანსსექსუალთა უფლებების იმპლემენტაციის თავდაპირველი შეფერხება, თუმცა არა აღნიშნულის ოთხი წლით დაყოვნება. ამ საკითხში შეზღუდული რაოდენობის ადამიანების ჩართულობის გათვალისწინებით, საბიუჯეტო ტვირთი გაუმართლებლად მძიმე არ იქნებოდა. შესაბამისად, სახელმწიფომ საზოგადოების ინტერესსა და მომჩივნის უფლებათა შორის სამართლიანი ბალანსი ვერ დაიცვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე⁷³, რომელიც ეხებოდა ერთი და იმავე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციის მხრიდან საჯარო ლექციის ჩასატარებლად რელიგიური ორგანიზაციის წარმომადგენლის დაშვებას, ხოლო ლგბტ იდენტობის მქონე ადამიანების უფლებების დაცვაზე მომუშავე ორგანიზაციის წარმომადგენლისთვის საჯარო ლექციის ჩატარებაზე უარის თქმას.

ორგანიზაცია „იდენტობამ“ ქ. ქუთაისში მდებარე აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმართა წერილით, რომლითაც ამავე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებთან შესახვედრად და საჯარო ლექციის ჩასატარებლად (დისკრიმინაციის თემაზე) 2014 წლის ნოემბრის თვეში, ერთჯერადად, 2 საათით, 25 სტუდენტზე გათვლილი აუდიტორიის გამოყოფა მოითხოვა. აღნიშნულ მოთხოვნაზე „იდენტობამ“ მიიღო უარი. მოსარჩელის განმარტებით უარი განპირობებული იყო დისკრიმინაციული საფუძველით, რადგან ამავე სასწავლებელში, დაახლოებით იმავე დროს, როდესაც „იდენტობას“ ჰქონდა დაგეგმილი ლექცია, სასულიერო პირმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეძლო მსგავს თემაზე საჯარო ლექციის ჩატარება.

⁷³ ქუთაისის საქალაქო სასამართლო 2016 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N 2/181-15.

სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს არ გამოცხადდა მოსარჩელე - ა(ა)იპ „იდენტობის“ წარმომადგენელი და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზების შესახებ არ უცნობებია სასამართლოსთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ უნდა დაკმაყოფილდეს მოპასუხე მხარის შუამდგომლობა და ა(ა)იპ „იდენტობის“ სარჩელის მიმართ გამოტანილი უნდა იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

რაც შეეხება ქორწინების უფლებას, 1950 წელს მიღებული კონვენციის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია) მე-12 (ქორწინების უფლება) მუხლი პირდაპირ მიუთითებს ქალსა და მამაკაცზე, მაგრამ 1984 წელს მიღებული მე-7 ოქმის მე-5 მუხლის უკვე ზოგადად მეუღლეებს მოიხსენიებს, სქესის დაკონკრეტების გარეშე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მე-12 მუხლის ფორმულირება მამაკაცის და ქალის ქორწინების უფლებაზე მხოლოდ ბიოლოგიური კრიტერიუმით განსაზღვრული გენდერით არ უნდა განიმარტოს. მაგალითად, საქმეში, *ქრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ*,⁷⁴ მომჩივანი დავობდა, რომ მის მიერ სქესის შეცვლა სამართლებრივად არ იყო აღიარებული. კერძოდ, იგი ჩიოდა შრომით ურთიერთობებში მის მიმართ მოპყრობის, სოციალური დაცვის, საპენსიო უფლებებისა და ქორწინების შეუძლებლობის შესახებ. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-12 მუხლი (ქორწინების უფლება). ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, ამ ნორმაში ცალსახად იყო მითითებული მამაკაცისა და ქალის ქორწინების უფლებაზე, მაგრამ ვერ გაიზიარებდა მოპასუხე სახელმწიფოს მოსაზრებას, რომ კონვენციაში გამოყენებული ტერმინები დაკავშირებული იყო სქესის განსაზღვრასთან მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური კრიტერიუმების საფუძველზე. კონვენციის მიღების შემდეგ მომხდარი იყო უმნიშვნელოვანესი ცვლილებები ტრანსსექსუალიზმის საკითხზე მედიცინისა და მეცნიერების განვითარებაში. ამიტომ, ევროპული სასამართლო ვედარ გაიზიარებდა იმ მოსაზრებას, რომ ბიოლოგიურ ფაქტორთა კრიტერიუმი გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარების დროს. გარდა ამისა, ალოგიკური და არაბუნებრივი იქნებოდა ის, რომ ადამიანს სქესის შეცვლის გამო საერთოდ დაეკარგა ქორწინების უფლება. ასევე სასამართლომ დასძინა, რომ, მართალია სახელმწიფო სავსებით უფლებამოსილი იყო შეემუშავებინა გარკვეული წესები, რომლის შესაბამისადაც დადგინდებოდა, ჩატარდა თუ არა სქესის შეცვლა სათანადოდ, რა პირობებში დაკარგავდა წარსული ქორწინება კანონიერ ძალას, ანდა რა ფორმლობები უნდა გამოყენებულიყო მომავალი ქორწინების რეგისტრაციისას, მაგრამ რაიმე გამართლება იმისა, რომ სახელმწიფოს ნებისმიერ შემთხვევაში აეკრძალა ტრანსსექსუალისათვის ქორწინების უფლება, არ არსებობდა.

⁷⁴ ქრისტინ გუდვინი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Christine Goodwin v. The United Kingdom) [დიდი პალატა], N28957/95, 11 ივლისი, ECHR 2002.

სქესი

გენდერული თანასწორობის უნივერსალურობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული კონცეფციაა, რომელიც ემსახურება სქესის ნიშნით ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რისთვისაც სახელმწიფოებმა უნდა შექმნან შესაბამისი კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა, რათა უზრუნველყონ თანასწორობის იდეის პრაქტიკაში განხორციელება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ეტაპზე.

სქესობრივი დისკრიმინაცია შედარებით ნათელი ცნებაა, რომელიც დამატებით ახსნას ნაკლებად საჭიროებს. იგი ეხება დისკრიმინაციას, დაფუძნებულს იმაზე, რომ პირი ქალია ან კაცი. ხშირ შემთხვევაში, როგორც წესი, ქალები უფრო არიან არასახარბიელო მოპყრობის მსხვერპლნი, ვიდრე კაცები.

ერთ-ერთი სფერო, რომელშიც ქალები დისკრიმინაციას განსაკუთრებით ხშირად აწყდებიან, წინასახელშეკრულებო და შრომითი ურთიერთობებია.

შრომითსამართლებრივი ურთიერთობები საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც ეფუძნება შრომის, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების იდეას და დასაქმებაზე ხელმისაწვდომობის კონცეფციას.

1966 წელს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, ისევე როგორც ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტი, წარმოადგენს მნიშვნელოვან ქვაკუთხედს ადამიანის შრომითი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. ხსენებული პაქტების ფარგლებში სახელმწიფოებმა უნდა გააფართოონ ქალების მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აღიარონ თანაბარი სამუშაოსთვის თანაბარი ანაზღაურების მიღების უფლება. ასევე ყოველ ადამიანს აქვს უფლება ჰქონდეს შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობები. მაგალითად, საქმეში **დეფრენი საბენას წინააღმდეგ** განმცხადებელი ჩიოდა, რომ უფრო ნაკლებს უხდებოდა, ვიდრე მის მამაკაც კოლეგებს, თუმცა კი იდენტურ მოვალეობებს ასრულებდნენ. ECJ-მ დაადგინა, რომ მოხდა დისკრიმინაცია სქესობრივ საფუძველზე.⁷⁵

საერთაშორისო პაქტებით გარანტირებულია თითოეული ინდივიდისთვის თანაბარი შესაძლებლობები - დაწინაურდნენ მხოლოდ შრომის სტაჟისა და კვალიფიკაციის საფუძველზე.⁷⁶

⁷⁵ სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, გვ.96.

⁷⁶ კონსტიტუციის 42-ე მუხლი - გენდერული დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, 2014, გვ.6.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ მიღებული კონვენცია - შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ - კერძო და საჯარო სექტორს ერთნაირად ეხება და კრძალავს პირდაპირ და არაპირდაპირ დისკრიმინაციას შრომისა და დასაქმების სფეროში. კონვენციის პირველი მუხლი აცალიბებს დისკრიმინაციის ცნებას, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ განსხვავებას, დაუშვებლობას ან უპირატესობას რასის, კანის, ფერის, რელიგიის, სქესის, პოლიტიკური მრწამსის, უცხოელების ან სოციალური წარმომავლობის ნიშნით, რომელიც იწვევს შრომისა და დასაქმების სფეროში შესაძლებლობების ან მოპყრობის თანასწორობის მოსპობას ან დარღვევას.

*ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ*⁷⁷ - 1999 წელს მომჩივანმა თურქმა ქალბატონმა, სახელმწიფო ელექტროენერჯის კომპანიის ერთ-ერთი განშტოების დაცვის თანამშრომლის პოსტის დაკავებისათვის, საჯარო მოხელეთა გამოცდები წარმატებით ჩააბარა. თავდაპირველად კომპანიამ მის დანიშვნაზე უარი განაცხადა, რადგან ის „მამაკაცად ყოფნის“ კრიტერიუმს არ აკმაყოფილებდა და სამხედრო სამსახური არ ჰქონდა გავლილი, მაგრამ ეს გადაწყვეტილება რაიონულმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ბათილად ცნო და 2001 წელს მომჩივანმა აღნიშნულ თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა. 2003 წელს უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და 2004 წელს მომჩივანი სამსახურიდან იქნა გათავისუფლებული. რაიონული ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც, მომჩივნის სამსახურიდან გათავისუფლება კანონიერი იყო, უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ მხარი დაუჭირა. საბოლოოდ, 2008 წელს მომჩივნის მოთხოვნა გადაწყვეტილების შეცვლის თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული.

სტრასბურგის სასამართლოში განმცხადებელი დავობდა კონვენციის მე-14 მუხლზე მე-8 მუხლთან ერთობლიობაში.

სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, შიდა სახელმწიფო ორგანოები მომჩივნის დაქირავებაზე თავდაპირველ უარსა და შემდგომში სამსახურიდან გაშვების გამართლებას იმ საფუძველით ცდილობდნენ, რომ დაცვის თანამშრომლების დავალებები იმგვარ რისკსა და პასუხისმგებლობას მოიცავდა, რომლებსაც ქალბატონი თავს ვერ გაართმევდა, თუმცა მათ აღნიშნულის დასაბუთება ვერ შეძლეს. ის ფაქტი, რომ დაცვის თანამშრომლებს ღამის მორიგეობასა და გარეუბნებში უწევდათ მუშაობა და შესაძლოა ცეცხლსასროლი იარაღის ან ფიზიკური ძალის გამოყენება სჭირდებოდათ, ვერ გაამართლებდა ქალისა და მამაკაცის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. გარდა ამისა, მომჩივანი 2001-2004 წლებში დაცვის

⁷⁷ ემელ ბოირაზი თურქეთის წინააღმდეგ (Emel Boyraz v. Turkey), N61960/08, 2 დეკემბერი, ECHR 2014, იხ. <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-14-55-56/519-2015-06-01-06-54-01>

თანამშრომლად მუშაობდა. ის მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე გათავისუფლდა. საქმის მასალებში არ იკვეთებოდა გარემოება, რაც მიუთითებდა, რომ მომჩივანმა სქესის გამო რაიმე ფორმით დაცვის თანამშრომლის ვალდებულებები ვერ შეასრულა. ნაჩვენები არ ყოფილა, რომ მომჩივანთან მიმართებით განსხვავებული მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა. ამრიგად, აღნიშნული გენდერულ საფუძვლებზე დისკრიმინაციას წარმოადგენდა.

აღნიშნული თემის საილუსტრაციოდ მოყვანილია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება.⁷⁸

მოსარჩელის განმარტებით, მან მონაწილეობა მიიღო ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ფ–ის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებულ კონკურსში. მან წარმატებით გაიარა კონკურსის სამივე ეტაპი, თუმცა კომისიის მხრიდან სქესის ნიშნით დისკრიმინაციული მოტივით ვერ მიიღო დადებითი შეფასება და მისი კანდიდატურა არ იქნა წარდგენილი ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ საკონკურსო–საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ვაკანტურ თანამდებობაზე მის ნაცვლად აირჩიეს გ. ჩ–ე, რომელსაც არ აქვს უმაღლესი განათლება და სამუშაო სტაჟი, არც ტესტირებაში მიუღია მაღალი ქულა.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა მის დისკრიმინაციას სქესის ნიშნით, ვინაიდან, სასამართლო განხილვისას თავის ჩვენებაში კომისიის ერთ–ერთმა წევრმა, მ. ც–მა აღნიშნა, რომ საქმის სირთულისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლის საქმიანობა უფრო მამაკაცისთვის შესაფერისია.

ზესტაფონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკონკურსო–საატესტაციო კომისიის 2015 წლის 17 აპრილის გადაწყვეტილებით, ნ. გ–ს უარი ეთქვა თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენაზე და შეირჩა გ. ჩ–ის კანდიდატურა, ამასთანავე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 14 მაისის ბრძანებით, ეს უკანასკნელი დაინიშნა ფ–ის ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლად.

თავდაპირველად ნ.გ-მ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს⁷⁹. სასამართლომ მიიჩნია, რომ ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, საკონკურსო–საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილების შინაარსობრივი კონტროლი

⁷⁸ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N3/ზ-156-2016.

⁷⁹ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 08 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N3/101-2015.

სცილდება სასამართლოს კომპეტენციას, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას.

სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელე მხარის პოზიცია მის მიმართ პირდაპირი დისკრიმინაციისა და კომისიის არაობიექტურობის შესახებ. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა. ამავე კანონის მეორე მუხლი ადგენს დისკრიმინაციის ცნებას. პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა და პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას, ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს. ანალოგიურად არის განმარტებული პირდაპირი დისკრიმინაცია გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონში, რომლის მე-3 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას სქესის ნიშნით არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ მეორე სქესის პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს.

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდანაც. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისთვის, რომ საკითხი მოექცეს მე-14 მუხლის ქვეშ აუცილებელია, რომ განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციებში მყოფი პირების მიმართ. განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია, თუ მას არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება, ე.ი. არ ისახავს კანონიერ მიზანს და არ არსებობს პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, დისკრიმინაციად არ მიიჩნევა ნებისმიერი განსხვავება, დაუშვებლობა და უპირატესობა განსაზღვრულ სამუშაოსთან, საქმიანობასთან ან სფეროსთან დაკავშირებით, რომელიც სპეციფიკურ მოთხოვნებს ემყარება. გენდერული თანასწორობის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დასაქმებისას და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაშვებია სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენება ან/და მათვის უპირატესობის მინიჭება, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი საშუალების პირობებიდან ემსახურება კანონიერი

მიზნის მიღწევას და არის მისი მიღწევის თანაზომიერი და აუცილებელი საშუალება. სასამართლოს მსჯელობით, მართალია, მითითებული ნორმები უშვებს სქესის ნიშნით პირთა არათანაბარ მდგომარეობაში ჩაყენების შესაძლებლობას, რაც გამომდინარეობს სამუშაოს არსიდან, სპეციფიკიდან ან მისი შესრულების პირობებიდან, მაგრამ კონკრეტულ შემთხვევაში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება არ ეფუძნება გენდერული ნიშნით უპირატესობის მინიჭებას, არამედ მოტივირებულია ძირითადი საკონკურსო მოთხოვნებთან კანდიდატის შესაბამისობით.

სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოსარჩელე ნ.გ-ს ხელი შეშლოდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობაში.

საკითხის მაღალი მგრძობელობისა და მსგავსი შემთხვევების სიმრავლის გათვალისწინებით, სახალხო დამცველმა ისარგებლა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით და საქმის განმხილველ სასამართლოს წარუდგინა სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველმა მიუთითა, რომ სამუშაოს არსის გათვალისწინებით, მოთხოვნა უნდა იყოს ფორმულირებული იმგვარად, რომ ორიენტირებული იყოს სამუშაოს სპეციფიკურ ელემენტზე და არ იწვევდეს პირთა ჯგუფის სქესის ან სხვა ნიშნით ავტომატურ გამორიცხვას. სახალხო დამცველი ასევე აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისას, თანასწორუფლებიანობის დარღვევის საპირწონე არგუმენტად ვერ განიხილება დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ვინაიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება თავის თავში მოიაზრებს დისკრიმინაციული მოტივებისგან სრულიად თავისუფალი გადაწყვეტილების მიღებას.

სახალხო დამცველი ამავედროულად აღნიშნავს, რომ წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში გენდერულ როლებთან დაკავშირებით არსებული სტერეოტიპები, რომ ქალი, მისი სქესის გამო, კონკრეტული პოზიციისთვის შეიძლება შეუფერებელი იყოს და მამაკაცი კანდიდატისთვის უპირატესობის მინიჭება მხოლოდ მისი სქესის გამო, წარმოადგენს განსხვავებულ მოპყრობას სქესის ნიშნით, რომელსაც არ შეიძლება ჰქონდეს რაიმე ლეგიტიმური გამართლება.⁸⁰

მიუხედავად იმისა, რომ უმეტესად ქალები უფრო არიან არასახარბიელო მოპყრობის მსხვერპლნი, ვიდრე კაცები, ყოველთვის ასე არ ხდება. მაგალითად, ადამიანის

⁸⁰ <http://www.ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/amicus-curiae2/sasamartlos-megobris-mosazreba-genderuli-nishnit-diskriminaciis-savaraudo-faqtan-dakavshirebit.page>

უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე, *კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ*, რომელიც შეეხებოდა დეკრეტული შვებულებით სარგებლობასთან დაკავშირებით ქალი და კაცი სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა არის დღესდღეობით უდიდესი მიზანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში და ძალიან წონიანი მიზეზების მოყვანაა საჭირო იმისათვის, რომ ამ საკითხზე განსხვავებული მოპყრობა კონვენციის შესაბამისად ჩაითვალოს. კერძოდ, კონკრეტული ქვეყნის ტრადიციების, ზოგადი შეხედულებების ან გაბატონებული სოციალური მიდგომის მოშველიება არასაკმარისი გამართლებაა სქესის საფუძველზე განხორციელებული განსხვავებული მოპყრობისთვის. მაგალითად, სახელმწიფოებს არ შეუძლიათ იმ ტრადიციების აღსრულება, რომლებიც ეფუძნება მამაკაცის პირველად როლს და ქალის მეორეხარისხოვან როლს ოჯახში”.⁸¹ სტრასბურგის სასამართლომ არ გაითვალისწინა სახელმწიფოს წარმომადგენლების ის მტკიცებულება, რომ განსხვავებული მოპყრობა მომჩივანის საქმეში ეფუძნებოდა ქალის განსაკუთრებულ როლს ბავშვის აღზრდის პროცესში. თანამედროვე ევროპული საზოგადოება აღიარებს პასუხისმგებლობების თანაბრად გადანაწილებას ქალსა და მამაკაცს შორის და ბავშვის აღზრდაში კაცის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს. ევროპული ქვეყნების უმრავლესობა, რუსეთის ჩათვლით, უზრუნველყოფს ბავშვის მოვლის შვებულებას, როგორც ქალების, ასევე მამაკაცი სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის, ამ ქვეყნების უმრავლესობა კი ამ უფლებას ავრცელებს სამხედრო მოსამსახურე კაცებსა და ქალებზე. განსხვავებული მოპყრობა მომჩივანის საქმეში არ შეიძლება იქნეს აღქმული როგორც პოზიტიური დისკრიმინაცია ქალების სასარგებლოდ, რადგან ნათლად ჩანს, რომ ის საზოგადოებაში ქალის არახელსაყრელი მიდგომარეობის გამოსწორებისკენ არ არის მიმართული. პირიქით, აღნიშნულს გენდერული სტერეოტიპების შენარჩუნების შედეგი ჰქონდა და დაბრკოლებებს უქმნიდა როგორც ქალების კარიერას, ასევე მამაკაცების ოჯახურ ცხოვრებას.⁸² საზოგადოებაში გენდერული როლების ტრადიციული გადანაწილება არ შეიძლება ამართლებდეს მამაკაცებისათვის მათ შორის სამხედრო მოსამსახურე მამაკაცებისათვის ბავშვის მოვლის შვებულების ჩამორთმევას.

სასამართლო დაეთანხმა იმ ფაქტს, რომ ეროვნული უშიშროების დაცვის მიზნებიდან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვები ბავშვის მოვლის შვებულებასთან დაკავშირებით შეიძლება იყოს გამართლებული, თუმცა არ უნდა იყოს დისკრიმინაციული ხასიათის. სამხედრო მოსამსახურე როგორც მამაკაცს ასევე ქალს,

⁸¹ კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ (Konstantin Markin v. Russia), [დიდი პალატა], N30078/06, 22 მარტი, §127, ECHR 2012. იხ. <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-14-55-56/155-2014-06-26-11-13-12> .

⁸² კონსტანტინე მარკინი რუსეთის წინააღმდეგ (Konstantin Markin v. Russia), [დიდი პალატა], N30078/06, 22 მარტი, §139-141, ECHR 2012. იხ. <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-14-55-56/155-2014-06-26-11-13-12> .

შეიძლება შეუწყდეს შვებულება თუ მისი შეცვლა იერარქიული თანამდებობის გამო, ტექნიკური კვალიფიკაციის, ან სამხედრო საქმიანობაში აქტიური ჩართულობის გამო შეუძლებელია. თუმცა რუსეთში ბავშვის მოვლის შვებულება არ ვრცელდება სამხედრო მოსამსახურე მამაკაცებზე მათი თანამდებობაზე შემცვლელის არსებობისა თუ ინდივიდუალური სიტუაციის მიუხედავად. სასამართლოს აზრით, ასეთი განზოგადოებული და ავტომატური აკრძალვა, რომელიც ვრცელდება ადამიანების ჯგუფზე მხოლოდ მათი სქესიდან გამომდინარე, სცდება სახელმწიფოსათვის მინიჭებულ თავისუფალი შეფასების ფარგლებს. მომჩივანი მსახურობდა რადიო ელექტრონული დაზვერვის ოპერატორად, შესაბამისად, მისი შეცვლა შეეძლო სამხედრო მოსამსახურე ქალსაც და მამაკაცსაც. მსგავსი თანამდებობა იგივე განყოფილებაში ხშირად ეკავათ ქალებს, რომლებსაც მისგან განსხვავებით, უპირობოდ ეძლეოდათ სამწლიანი დეკრეტული და ბავშვის მოვლის შვებულება. მომჩივანი გახდა სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლი ობიექტური და გონივრული გამართლების გარეშე.⁸³

მსგავს საკითხს ეხება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება⁸⁴, საიდანაც მოცემულია ამონარიდი:

მოსარჩელე დასაქმებული იყო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჩულურეთის რაიონის გამგეობაში და მუშაობდა წამყვანი სპეციალისტის თანამდებობაზე. მოსარჩელე და მისი მეუღლე 2011 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იყვნენ. 2014 მათ შეეძინათ ტყუპები. ტყუპების გარდა მათ ასევე ჰყავდათ კიდევ ერთი შვილი.

მშობიარობის შემდეგ მოსარჩელის მეუღლე მძიმე მდგომარეობაში იყო, რის გამოც აპელანტმა მოითხოვა კუთვნილი დეკრეტული შვებულება ბავშვების მოვლის მიზნით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ჩულურეთის რაიონის გამგებლის ოქტომბრის ბრძანებით მოსარჩელეს მიეცა დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო, 12 კვირის ოდენობით.⁸⁵ უნდა ითქვას, რომ ბავშვის მოვლის გამო დამატებითი შვებულება შეიძლება მიეცეს ნებისმიერ პირს, რომელიც ფაქტობრივად უვლის ბავშვს.

⁸³ კონსტანტინ მარკინი რუსეთის წინააღმდეგ (Konstantin Markin v. Russia), [დიდი პალატა], N30078/06, 22 მარტი, §147-149, ECHR 2012იხ. <http://catalog.supremecourt.ge/blog/index.php/2014-05-22-14-55-56/155-2014-06-26-11-13-12>.

⁸⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N38/436-16.

⁸⁵ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსის“ 30-ე მუხლის 1-ლი ნაწილი: დასაქმებულს თავისივე თხოვნით, უწყვეტად ან ნაწილ-ნაწილ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში 2 კვირისა, ეძლევა ანაზღაურების გარეშე შვებულება ბავშვის მოვლის გამო – 12 კვირის ოდენობით, სანამ ბავშვს შეუსრულდება 5 წელი.

საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით დადგენილია, რომ აპელანტმა მოითხოვა არა დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო, არამედ მისთვის კანონით მინიჭებული უფლების რეალიზება-დეკრეტული შვებულების მიღება ტყუპი შვილების შობის გამო.

განსახილველ საქმესთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოსარჩელისათვის ბავშვების მოვლასთან დაკავშირებული ანაზღაურებადი შვებულების მიცემაზე უარის თქმა და ამ შვებულების იმგვარი განმარტება, რომ იგი ეკუთვნის მხოლოდ ქალს და არ შეიძლება მიეცეს ბავშვების მამას, წარმოადგენს წახალისებას დისკრიმინაციული მიდგომისაკენ, რასაც საბოლოოდ მივყავართ იქამდე, რომ ქალს, რომელმაც გააჩინა შვილები, არ აქვს უფლება, ისწავლოს და იმუშაოს.

პალატის მოსაზრებით, ბავშვების მოვლასთან დაკავშირებული შვებულება, არ უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ იგი უცილობლად დაკავშირებულია მშობიარობასთან ან ძუძუთი კვებასთან, რომ თითქოს ეს არის პერიოდი, რომელიც ქალს სჭირდება მშობიარობის შემდეგ ადაპტირებისა და ბავშვის ძუძუთი კვებისთვის. შესაძლოა ბავშვის დედა საერთოდ არ მოგვევლინოს ქალად, რომელმაც იმშობიარა და ასევე შესაძლოა დედა საერთოდ არ კვებავდეს ახალშობილს ძუძუთი.

ოჯახში ძალადობის, როგორც ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ერთ-ერთი ძირითადი ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს განსაკუთრებული როლი ენიჭება. ბოლო წლების განმავლობაში სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ქალთა მიმართ ძალადობასთან ბრძოლას, სახელმწიფოების მიერ მათზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის კუთხით. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ*, რომელიც არის პირველი გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ გენდერულად მოტივირებული ძალადობა განიხილა გენდერული თანასწორობის კრილში. სასამართლომ, საერთაშორისო ადამიანის უფლებათა სტანდარტებზე დაყრდნობით განმარტა, რომ სახელმწიფოს უუნარობა დაიცვას ქალები ოჯახური ძალადობისაგან, არღვევს ქალთა უფლებას თანასწორ დაცვაზე კანონის წინაშე და სახელმწიფოს მოცემული უუნარობა არ არის სავალდებულო იყოს განზრახი.⁸⁶

მე-14 მუხლზე მსჯელობისას, რომელიც ეხება დისკრიმინაციის აკრძალვას, სასამართლომ განიხილა თურქეთში ქალთა მიმართ გენდერული ძალადობისა და სახელმწიფოს მხრიდან ამგვარ ძალადობაზე რეაგირების მაჩვენებელი. სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების საკითხის განხილვისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ სავარაუდო დისკრიმინაცია, რომელიც განიხილებოდა მოცემულ საქმეში, არ

⁸⁶ *ოპუზი თურქეთის წინააღმდეგ* (Opuz vs. Turkey), N33401/02, 9 მაისი, §191, ECHR 2009,

ეფუძნებოდა კანონმდებლობას *per se*, არამედ გამომდინარეობდა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ზოგადი დამოკიდებულებიდან, თუ როგორ ეპყრობოდნენ პოლიციის განყოფილებებში იმ ქალებს, რომლებიც აცხადებდნენ ოჯახური ძალადობის შესახებ.

მომჩივნის მიერ წარდგენილი იყო დიარბაკირის ადვოკატთა ასოციაციისა და Amnesty International-ის მიერ მომზადებული ანგარიშები, რომლის თანახმადაც, როდესაც დაზარალებულები აცხადებდნენ ოჯახური ძალადობის შესახებ პოლიციის განყოფილებაში, პოლიციის ოფიცრები არ იძიებდნენ მათ საჩივრებს, არამედ ცდილობდნენ მედიატორის როლის შესრულებას, არწმუნებდნენ რა დაზარალებულებს დაბრუნებულიყვნენ შინ და უკან გამოეხმოთ საჩივრები. ამ მხრივ პოლიციის ოფიცრები პრობლემას მიიჩნევდნენ „ოჯახურ საქმედ, რომელში ჩარევაც მათ არ შეეძლოთ“. მოცემული ანგარიშებიდან ასევე ირკვეოდა, რომ სასამართლო ორდერის გამოცემა უმიზეზოდ ყოვნდებოდა, რადგანც სასამართლოები მათ განქორწინების დავად და არა სასწრაფოდ სამოქმედო საკითხად მოიაზრებდნენ. გაჭიანურება ასევე ხშირი იყო, როდესაც საქმე ეხებოდა მოძალადეთა მიმართ ორდერის გამოცემას, რაც განპირობებული გახლდათ პოლიციის ოფიცრების ნეგატიური დამოკიდებულებით. ამასთან, ოჯახური ძალადობის ჩამდენი პირები არ იღებდნენ სასჯელს, რომლის შედეგადაც მათ აღარ გაუჩნდებოდათ სურვილი ჩაედინათ შემდეგი დანაშაული, რადგან სასამართლოები სასჯელს უმსუბუქებდნენ ჩვეულების, ტრადიციისა თუ ღირსების გამო.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ოჯახური ძალადობა შეწყნარებული იყო თურქეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანმა მოახერხა წარედგინა და გაემყარებინა უდავო სტატისტიკური ინფორმაციით *prima facie* მითითება მასზედ, რომ ოჯახური ძალადობა ძირითადად ქალებზე ვრცელდებოდა თურქეთში და ზოგადი და დისკრიმინაციული მართლმსაჯულებითი პასიურობა თურქეთში ქმნიდა კლიმატს, რომელიც ხელსაყრელი გახლდათ ოჯახური ძალადობისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობა

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებრივი სტანდარტის განხილვის დროს, პირველ რიგში, უნდა განვიხილოთ გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ (UN CRPD), რომლის თანახმადაც,⁸⁷ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წარმოადგენენ ადამიანები, რომელთაც აქვთ ხანგრძლივი ფიზიკური, მენტალური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევები, რამაც სხვადასხვა სახის დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას, შესაძლოა, ხელი შეუშალოს სხვების თანასწორად მათ სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნული დეფინიცია ხაზს უსვამს და განამტკიცებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან მიმართებით პარადიგმულ და ფილოსოფიურ ცვლილებას, რამაც ზეგავლენა მოახდინა საერთაშორისო სამართლებრივ ჩარჩოზე. კერძოდ, საუკუნეების განმავლობაში აღიარებული სამედიცინო მოდელის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობა განიხილებოდა მხოლოდ დიაგნოზზე დაყრდნობით, ხოლო თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, წარმოჩენილი იყო ქველმოქმედების ობიექტად. ახალი კონვენციის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობა გამომდინარეობს იმ გარემო ბარიერებიდან, რომელსაც ამა თუ იმ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი აწყდება. ბარიერები კი, განაპირობებს ამ პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დარღვევას. შესაბამისად, ახალი პარადიგმით, რომელსაც მხარს უჭერს გაეროს კონვენცია, შეზღუდული შესაძლებლობა განიმარტება ადამიანის უფლებებისა და სოციალური მოდელის კონტექსტში, რომელიც ორიენტირებულია ბარიერების შემცირებაზე.⁸⁸

კონვენციის 1-ლი მუხლის თანახმად, „კონვენციის მიზანია, ხელი შეუწყოს, დაიცვას და უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება, მათი თანდაყოლილი პიროვნული ღირსების პატივისცემა“.

კონვენციის მე-2 მუხლის თანახმად კი, „დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, სამოქალაქო და ნებისმიერ სხვა სფეროში მათ მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე

⁸⁷ კონვენცია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულია 2014 წლის დეკემბერში

⁸⁸ ა.აბაშიძე, ა.არგანაშვილი, თ.შველიძე, ა.სალდამე - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გვ.34

დაყვანა ან სრული უარყოფა. იგი მოიცავს დისკრიმინაციის ყველა ფორმას, მათ შორის, უარს გონივრულ მისადაგებაზე”.⁸⁹

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ განხილული საქმე ბანკომატების ხელმისაწვდომობის შეზღუდვასა და გონივრულ მისადაგებაზე⁹⁰ - გაეროს შმმ პირთა კომიტეტმა 2013 წელს განიხილა და გამოიტანა გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, სადაც უსინათლო განმცხადებლები-უნგრეთის მოქალაქეები - სილვია ნიუსტი და პეტერ ტოკაჩი ამტკიცებდნენ, რომ უნგრეთის სახელმწიფომ მათ წინააღმდეგ დაარღვია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები (გონივრული მისადაგების პრინციპის გამოუყენებლობა); მე-9 მუხლი (მისაწვდომობა) და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი (კანონის წინაშე თანასწორობა). მხედველობის პრობლემის მქონე პირებმა საბანკო დაწესებულებასთან „OTP Bank Zrt” (შემდგომში, OTP) ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გააფორმეს ხელშეკრულება კერძო პირთა მიმდინარე ანგარიშით მომსახურების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულება მომჩივნებს საბანკო ბარათების გამოყენების უფლებას ანიჭებდა, მათ არ ჰქონდათ ბანკომატების დამოუკიდებლად გამოყენების შესაძლებლობა, ვინაიდან OTP-ის ექსპლუატაციაში არსებული ბანკომატების კლავიატურას ბრაილის შრიფტი არ ჰქონდა. ამასთან, ბანკომატი არ უზრუნველყოფდა აუდიოინსტრუქციებსა თუ ხმოვან დახმარებას საბანკო ბარათით ოპერაციების განსახორციელებლად. მოსარჩელები იხდიდნენ საბანკო ბარათით მომსახურებისა და საბარათე ტრანზაქციების განხორციელებისათვის დაწესებულ ყოველწლიურ საფასურს, ბანკის სხვა კლიენტების მიერ გადახდილი საფასურის ტოლი ოდენობით. მიუხედავად ამისა, მათ არ შეეძლოთ ბანკომატების მომსახურებით სარგებლობა, მხედველობის მქონე კლიენტებთან თანასწორობის საფუძველზე.

აღნიშნულ საქმეზე, კომიტეტმა სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის სხვადასხვა მუხლის დარღვევა დაადგინა, მათ შორის, გონივრული მისადაგების პრინციპის დარღვევა, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ დისკრიმინაციად შეფასდა. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კომიტეტის განმარტება კერძო სექტორის ვალდებულებაზე, თანასწორობის პრინციპის დაცვით, მიაწოდოს ყოველგვარი სერვისი კონკრეტულ მოსარგებლე პირებს, ხოლო ამის უგულებელყოფა წარმოადგენს დისკრიმინაციულ მოპყრობას.

მეორე მნიშვნელოვან საერთაშორისო ინსტრუმენტს წარმოადგენს „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია”, რომლის

⁸⁹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289> ნანახია 10.07.2017

⁹⁰ ა.აბაშიძე, ა.არგანაშვილი, თ.შველიძე, ა.სალდამე - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გვ.34

მე-14 მუხლი და მე-12 დამატებითი ოქმი უზრუნველყოფს, თავად კონვენციით გარანტირებული უფლებებითა და თავისუფლებებით თანასწორ სარგებლობას. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული კონვენციით გათვალისწინებული დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში შეზღუდული შესაძლებლობა არ გვხდება, ევროპულმა სასამართლომ იგი „სხვა“ საფუძვლებს შორის მოიაზრა მე-14 მუხლის განმარტებისას. მაგალითად, საქმე *ჩემი თურქეთის წინააღმდეგ*⁹¹ - 2004 წელს განმცხადებელმა, ეროვნებით თურქმა სეიდა ევრიმ ჩემმა, რომელიც უსინათლოა, ჩააბარა მისაღები გამოცდები სტამბოლის ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებულ ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში. ჩაბარების პროცედურის მოთხოვნით, სამედიცინო დაწესებულების სპეციალურმა კომისიამ გასცა დასკვნა, რომელშიც მიუთითა, რომ ჩემი შეძლებდა მხოლოდ იმ გაკვეთილებზე დასწრებას, სადაც მხედველობა არ იქნებოდა დასწრების აუცილებელ პირობად. მუსიკალურმა აკადემიამ უარი განაცხადა ჩემის მიღებაზე და სამედიცინო დაწესებულების მთავარ ექიმს სთხოვა ახალი დასკვნის მომზადება, რომელიც განმარტავდა შეძლებდა თუ არა განმცხადებელი მუსიკალურ აკადემიაში გაკვეთილებზე დასწრებას.

განმცხადებლის მშობლებმა, შვილის სახელით მიმართეს სტამბოლის ადმინისტრაციულ სასამართლოს და მოითხოვეს სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის გადაწყვეტილების გაუქმება. სასამართლომ იგი უცვლელი დატოვა, იმ საფუძვლით, რომ ჩემმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, რომელიც დაადასტურებდა მის მუსიკალურ შესაძლებლობას აკადემიაში განათლების მისაღებად.

განმცხადებელმა და მისმა მშობლებმა გადაწყვეტილება გაასაჩივრეს ზედა ინსტანციის სასამართლოში, თუმცა უშედეგოდ. მათ ასევე საჩივარი შეიტანეს ბაკირკოის საავადმყოფოს წინააღმდეგ, რომელმაც აკადემიის მოთხოვნით ახალი სამედიცინო დასკვნა შეადგინა, რომლითაც ადასტურებდა მუსიკალურ დაწესებულებაში ჩემის მიერ განათლების მიღების შესაძლებლობის არქონას.

2008 წლის 22 ოქტომბერს ჩემმა მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის შესაბამისად (განათლების უფლება), განმცხადებელი ჩიოდა, რომ დაირღვა მისი განათლების უფლება და სახელმწიფომ ვერ შეძლო მისი, როგორც შშმ პირის ყველასთან იდენტური შესაძლებლობებით უზრუნველყოფა. იგი ასევე აცხადებდა, რომ გახდა დისკრიმინაციის მსხვერპლი უსინათლობის გამო და დაირღვა მე-14 მუხლი (დისკრიმინაციის აკრძალვა).

⁹¹ ჩემი თურქეთის წინააღმდეგ (ÇAM v. TURKEY), N 51500/08, 23 მაისი, ECHR 2016.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, განმცხადებლის მუსიკალურ აკადემიაში ჩარიცხვაზე უარის თქმასთან მიმართებით აღნიშნა, რომ არსებული კანონმდებლობის მიხედვით შშმ ბავშვებს აქვთ განათლების მიღების უფლება დისკრიმინაციის გარეშე. თუმცა, ქ-ნი ჩემის შემთხვევაში, აკადემია ეყრდნობოდა პროცედურულ წესებს, რომლის თანახმადაც გაკვეთილებზე დასასწრებად საჭირო იყო ფიზიკური მომზადების შესახებ სამედიცინო ცნობის წარმოდგენა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცედურული წესები უსინათლოებისთვის არ უშვებს გამონაკლისს და ყველა ვალდებულია წარმოადგინოს სერტიფიკატი, სასამართლომ განაცხადა, რომ ვერ ხედავდა ამ მოთხოვნის საჭიროებას შშმ პირებთან მიმართებით. ასევე დასძინა, რომ განმცხადებელმა წარმოადგინა სამედიცინო ცნობა, მაგრამ აკადემიამ არ მიიღო იგი და მოითხოვა მისი შემდგენი სამედიცინო პერსონალის მიერ მოდიფიკაცია. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური აკადემიის განცხადებით, ქ-მა ჩემმა ვერ წარმოადგინა საავადმყოფოს მიერ შედგენილი სამედიცინო დასკვნა, სასამართლომ დაადგინა, რომ ამ უარის მიზეზი მხოლოდ განმცხადებლის უსინათლობა იყო და განმცხადებელი ვერ შეძლებდა ფიზიკური მომზადების მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

სასამართლოს აზრით, მისაღები გამოცდების ჩაბარებით, განმცხადებელმა დაამტკიცა, რომ კვალიფიციური იყო ეროვნულ მუსიკალურ აკადემიაში ჩასარიცხად.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის ნაკლებობისა და იმის გათვალისწინებით, რომ განმცხადებელს უარი შშმ პირთა დისკრიმინაციის საფუძველზე ეთქვა, სასამართლომ დაადგინა, რომ ეროვნულ ხელისუფლებას არ ჰქონია მცდელობა დაედგინა განმცხადებლის საჭიროებები და ვერ შეძლო განემარტა თუ როგორ შეუშლიდა ხელს მისი უსინათლობა მუსიკის გაკვეთილებზე დასწრებას. მან ასევე აღნიშნა, რომ აკადემია არ ქმნიდა შესაბამის პირობებს ბრმა სტუდენტებისთვის გაკვეთილებზე დასასწრებად. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიღებაზე უარის თქმა, რომელიც მხოლოდ მის უსინათლობაზე იყო დაფუძნებული, ასევე უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ეროვნულ ხელისუფლებას მხედველობაში არ მიუღია შშმ პირთათვის შესაბამისი პირობების შექმნა. სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელს უარი ეთქვა ობიექტური და გონივრული საფუძვლის გარეშე. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი 1-ლი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან ერთობლიობაში.

განსახილველ თემასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი პირდაპირ ითვალისწინებს შეზღუდულ შესაძლებლობას, როგორც დისკრიმინაციის ერთ-ერთ ნიშანს. ასევე, გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ რატიფიცირებით, საქართველომ გამოხატა ნება, საკუთარი პოლიტიკა დააფუძნოს

შეზღუდული შესაძლებლობების აღქმის ახალ პარადიგმას და უზრუნველყოფის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვა, კონვენციის მიერ დადგენილი საუკეთესო სტანდარტით.

მოსარჩელე კ.ნ-მ მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა როგორც დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, ისე ბათუმის დელფინარიუმში დელფინებთან ინტერაქტივისათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისათვის თანაბარი ფასის დაწესების დავალებულიება.

დავის საგანი შეეხება შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით პირის დისკრიმინაციას. მოსარჩელის განმარტებით, ბათუმის დელფინარიუმში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის დელფინთან ინტერაქტივისათვის განსხვავებული (უფრო მაღალი) ფასის დაწესება, რაშიც სხვა პირები უფრო ნაკლებს იხდიან, არახელსაყრელ პირობებში აყენებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს სხვა პირებთან შედარებით. საქმის მასალებით დადგენილია, რომ ბათუმის დელფინარიუმში, დელფინებთან ინტერაქტივისათვის, 2015 წლის 1 ივლისის ბრძანებით, მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია შემდეგნაირად: 3-16 წლამდე - 100 ლარი; 16 წლიდან ზევით - 150 ლარი; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის - 160 ლარი. ამასთან, დადგენილია, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის არ არის დაწესებული ასაკობრივი დიფერენციაცია ისე, როგორც ეს შეზღუდული შესაძლებლობების არ მქონე პირებისთვის არის დადგენილი (მაგალითად, 3-16 წლამდე - 100 ლარი; 16 წლიდან ზემოთ - 150 ლარი) დელფინთან ინტერაქტივისათვის ფასებთან მიმართებაში და მომსახურების ფიქსირებული ღირებულება (160 ლარი) ერთნაირად ვრცელდება ყველა ასაკის შშმ პირთათვის, რაც ერთ შემთხვევაში იწვევს ფასთა სხვაობას - 60 ლარით (3-16 წლამდე), მეორე შემთხვევაში - 10 ლარით (16 წლიდან-ზემოთ). აღნიშნული განსხვავება კი უკვე შეიცავს დისკრიმინაციული მოპყრობისათვის დამახასიათებელ ნიშნებს.

აღნიშნულ საქმეზე, ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაადგინა პირდაპირი დისკრიმინაცია⁹² და ბათუმის დელფინარიუმს დაავალა, დელფინებთან ინტერაქტივისთვის თანაბარი ფასის დაწესება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირებისთვის. გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული

⁹² ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N2/2054-2015.

ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ამ მიზნით მონაწილე ქვეყნები ვალდებულებას იღებენ: ყველა პოლიტიკასა და პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა; განახორციელონ ან ხელი შეუწყონ წინამდებარე კონვენციის მე-2 მუხლით განსაზღვრული ისეთი სახის უნივერსალური დიზაინის მქონე პროდუქტის, მომსახურების, დანადგარებისა და მოწყობილობების კვლევა-გამოგონებით საქმიანობას, რომელთა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციფიკურ საჭიროებებზე მორგება მინიმალური ადაპტაციასა და თანხებს მოითხოვს; ხელი შეუწყონ მათ გამოყენებასა და მისაწვდომობას, სტანდარტებისა და სახელმძღვანელოების შექმნაში უნივერსალური დიზაინის იდეის გატარებას; ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დელფინებთან ინტეგრაციისთვის მომსახურების განსხვავებული საფასურის დაწესებას არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, არ ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, არ აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და ის დისკრიმინაციულია”.

გარდა ამისა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს მსჯელობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების ინდივიდუალური შეფასების შესახებ პრეცედენტულია: დელფინარიუმში არ არსებობს ინტერაქტივით მომსახურებისათვის დადგენილი სპეციალური წესი, რაც განსაზღვრავდა ჯგუფურ და ინდივიდუალურ ინტერაქციას და დადგენილი იქნებოდა წერილობით. თუმცა პრაქტიკაში დანერგილია მომსახურების შემდეგი პაკეტი: შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირთათვის, როგორც 100 - ლარიანი, ისე 150-ლარიანი პაკეტი გულისხმობს 15-წუთიან ჯგუფურ ცურვას დელფინთან. 4-6 პირისაგან შემდგარ ჯგუფს ემსახურება 2 დელფინი და 2 მწვრთნელი, შშმ პირთათვის 15-წუთიანი ინდივიდუალური ცურვა დელფინთან, რომელიც გულისხმობს პროცესში 1 დელფინის, პერსონალური მწვრთნელისა და მწვრთნელის ასისტენტის მონაწილეობას. ანუ დანერგილია ჯგუფური ინტერაქცია მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირთათვის და ინდივიდუალური ინტერაქცია შშმ პირებისათვის. მიუხედავად ჯგუფური და ინდივიდუალური ინტერაქციის სპეციფიკისა, ის არ ამართლებს შშმ პირებისათვის ფასთა განსხვავებული ტარიფის დაწესებას, რადგან დისკრიმინაციას გათანაბრებულია უარი „გონივრულ მისადაგებაზე“. სახელმწიფოს ვალდებულებაა ადამიანის უფლებების ყველა სფეროში (სამოქალაქო და პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ კულტურული), უზრუნველყოს გონივრული მისადაგების პრინციპის დანერგვა, რათა მოხდეს სოციალური გარემოს მორგება ამა თუ იმ პირთა ინდივიდუალურ საჭიროებებზე. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია „გონივრულ მისადაგების“ მნიშვნელობას უკავშირებს სამ ძირითად ასპექტს, რომლის ელემენტები ერთმანეთს ემყარებიან და ერთმანეთის საფუძველს ქმნიან. ესენია: აუცილებელი და შესაფერისი მოდიფიცირება ან ცვლილება, საჭიროების მომდინარეობა ცალკეული შემთხვევებიდან, საჭიროების

განსაზღვრულობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებით, სხვებთან თანასწორ პირობებში ისარგებლონ ან განახორციელონ ყველა უფლება. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ მომსახურების ფასების დამტკიცების შესახებ, მოპასუხეთა გადაწყვეტილება და პირის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი, ავტომატურად განაპირობებს ჯგუფური ინტერაქციის ხელმიუწვდომლობას, ისე რომ არ არის გათვალისწინებული პირის უნარი და შესაძლებლობა დამოუკიდებლად მიიღოს მონაწილეობა ჯგუფურ ინტერაქციაში. მაგალითად, პირს, შესაძლოა, ამა თუ იმ მიზეზის გამო, დადგენილი ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსი, მაგრამ მისი მდგომარეობა აძლევდეს შესაძლებლობას - დამოუკიდებლად, ყოველგვარი ადაპტირებული გარემოს შექმნისა და სხვა სახის ძალისხმევის გარეშე ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირმა, მიიღოს მონაწილეობა ჯგუფურ ინტერაქციაში. ამ დროს, მიუხედავად მისი უნარისა და შესაძლებლობის ფარგლებისა, დადგენილი სტატუსი, მას უზღუდავს ინტერაქციაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას და ჯგუფური ინტერაქციისთვის დაწესებულ ფასზე (150) ხელმისაწვდომობას, რადგან ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 160 ლარით. ხოლო დანერგილი პრაქტიკის გათვალისწინებით, მომსახურება მოიცავს მხოლოდ ინდივიდუალურ ინტერაქციას”.

მაშასადამე, ბათუმის საქალაქო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, არ უნდა გავრცელდეს ზოგადი, წინასწარშემუშავებულ მოსაზრებაზე დამყარებული სტერეოტიპული მიდგომა მათი მდგომარეობის შესახებ. სავალდებულო უნდა იყოს პირის შესაძლებლობებისა და რესურსების ინდივიდუალური შეფასება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინება.⁹³

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ერთ-ერთ საქმეში ასევე იმსჯელა შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით განხორციელებულ შესაძლო დისკრიმინაციის ფაქტზე.⁹⁴

მოსარჩელე ლ.ბ-მ, რომელიც სამი შვილის დედაა, თბილისის საქალაქო სასამართლოს ქირავნობის ურთიერთობის ფარგლებში პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად მიმართა. ლ.ბ-ს 7 წლის შვილი შეზღუდული შესაძლებლობის

⁹³ ა.აბაშიძე, ა.არგანაშვილი, თ.შველიძე, ა.სალდაძე - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გვ. 18-19.

⁹⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N2/56-16.

მქონეა, რაც ბინის გამქირავებლისთვის ქირავნობის უკანონოდ შეწყვეტის საფუძველი გახდა. კერძოდ, 2015 წლის 30 სექტემბერს ლ.ბ-მ მეუღლესა და შვილებთან ერთად დაიქირავა საცხოვრებელი ფართი, რის სანაცვლოდაც ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად გამქირავებლისთვის უნდა გადაეხადა 300 ლარი ყოველთვიურად. საცხოვრებელი ფართის დაქირავების დროს გამქირავებელი ინფორმირებული იყო ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ.

ლ.ბ-ს 7 წლის ბავშვმა, გ.ბ-მ ღამით იტირა, რის შემდეგაც გამქირავებელმა დედას განუცხადა, რომ არ სურდა ბავშვის ტირილის მოსმენა ასევე, მიიჩნევდა, რომ ბავშვი მისი შეზღუდული შესაძლებლობის (აუტისტური სპექტრის მქონე) გამო, აუცილებლად გააჩენდა ხანძარს და მოითხოვა საცხოვრებელი ბინის დაუყოვნებელი დაცლა.

საქმეში წარმოდგენილია სახალხო დამცველის 2015 წლის 14 დეკემბერს მიღებული რეკომენდაცია „შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ“, რომლის თანახმადაც, ქირავნობის ხელშეკრულება მოიშალა იმ მოტივით, რომ გ.ბ. არის აუტისტური სპექტრის მქონე და გარიგების მხარეს არ სურს ბავშვმა მის მიერ გაქირავებულ სახლში იცხოვროს. ამავდროულად ის მცდარი და სტერეოტიპული შეხედულება, რომ აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვი აუცილებლად რამეს დააზიანებს ანდა დააშავებს, ვერ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმურ მიზნად.

როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დაადგინა განსახილველ შემთხვევაში მოპასუხესა და გ.ბ-ს დედას შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, რომლის შესაბამის ანაზღაურებას გამქირავებელი რეგულარულად იღებდა. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის მხრიდან 2015 წლის 30 სექტემბერს გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების ფაქტობრივი შეწყვეტის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა და გ.ბ-ის ოჯახის დაქირავებული ფართიდან გამოძევება განხორციელდა მხოლოდ გ.ბ-ს შეზღუდული შესაძლებლობის გამო.

სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხის მხრიდან ლ.ბ-სთან გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა იმ მოტივით, რომ გ.ბ. არის აუტისტური სპექტრის მიკუთვნებული ბავშვი, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით პირდაპირ დისკრიმინაციას.

სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ მორალური ზიანს იწვევს გ.ბ-ს მიერ დისკრიმინაციის შედეგად სულიერი და მორალური ტკივილის განცდა. დადგენილია, რომ 2015 წლის 6 ოქტომბერს ღამის საათებში ლ.ბ. ოჯახის წევრებთან ერთად იძულებული გახდა დაეტოვებინა მის კანონიერ მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი ფართი დისკრიმინაციული ხასიათის მოპყრობის საფუძველზე. რა დროსაც მოსარჩელე გ.ბ-ს მისი დაავადების სპეციფიკურობიდან გამომდინარე

განუვითარდა მძიმე ემოციური სტრესული რეაქცია და დაეწყო თვითდაზიანების სიმპტომი. მოპასუხის მოქმედებებმა გამოიწვია გ.ბ-ს მძიმე ემოციური და სულიერი ტკივილის მიყენება. გ.ბ-ს ფსიქოემოციურ მდგომარეობას ადასტურებს საქმეში მოთავსებული დღის ცენტრის „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ სპეციალური პედაგოგისა და ფსიქოლოგის დასკვნა. მოცემული გარემოება მიანიშნებს მორალური ზიანის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხე მხარემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში, თუმცა მეორე ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა.⁹⁵

განხილულმა საქმეებმა აჩვენა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებში შეიქმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით. სასამართლომ განავითარა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით ინდივიდუალიზებული მიდგომის, საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირების პარადიგმა.⁹⁶

პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს საერთო სასამართლოების მხრიდან თანასწორობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების განსამართლად გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის გამოყენება.

⁹⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 3 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმე N28/4067-16.

⁹⁶ ა.აბაშიძე, ა.არგანაშვილი, თ.შველიძე, ა.სალდამე - ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის აღსრულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად. გვ. 36.

პოლიტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროკავშირის დირექტივებისგან განსხვავებით, ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამო.

აღსანიშნავია, რომ დისკრიმინაციის ამ ნიშნის თაობაზე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხშირად არ უმსჯელია. როგორც ევროპული ანტიდისკრიმინაციული სამართლის შესახებ სახელმძღვანელოში არის აღნიშნული, ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ზოგიერთი სხვა უფლების მსგავსად, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების თავისუფლება დამოუკიდებლად არის დაცული კონვენციაში, კერძოდ, მე-10 მუხლში - „აზრის გამოხატვის თავისუფლება“. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კონვენციის მე-14 მუხლის მოქმედება, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამო, პირის უფლებების დაცვის თვალსაზრისით გაცილებით ფართოა, ვიდრე მე-10 მუხლი. კერძოდ, კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია თავად აზრის გამოხატვის თავისუფლება, რა მიზეზითაც არ უნდა იყოს იგი განპირობებული, მათ შორის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებებით. რაც შეეხება მე-14 მუხლს, იგი იცავს გარკვეული პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების მქონე პირს არა მხოლოდ მე-10 მუხლთან მიმართებით, არამედ, ნებისმიერ სხვა უფლებასთან ერთობლიობაში. მაგალითად, როდესაც პირი დაკავებული იყო მისი პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების გამო ან უარი ეთქვა დასაქმებაზე იმავე მიზეზით და ა.შ.

პოლიტიკურ შეხედულებებთან დაკავშირებით ნათელია, რომ აქ იგულისხმება დამკვიდრებული პოლიტიკური პრინციპების, სისტემის თუ ხელისუფლების საწინააღმდეგო, ოპოზიციური მოსაზრებების გამოხატვა. საქმე - *კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ*⁹⁷ შეეხებოდა პარლამენტის წევრს, რომლის მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო მთავრობის შეურაცხყოფის” ბრალდებით, მას შემდეგ, რაც მან მთავრობა გააკრიტიკა ბასკების ქვეყანაში ტერორისტულ აქტებთან მიმართებით უმოქმედობისათვის. ევროპულმა სასამართლომ ხაზი გაუსვა გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობას პოლიტიკურ კონტექსტში, განსაკუთრებით კი მის როლს დემოკრატიული საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. მან დაადგინა, რომ ნებისმიერი ჩარევა დაექვემდებარება „უმკაცრეს გადასინჯვას“.⁹⁸

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე *ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ*⁹⁹ დაადგინა, რომ სასამართლო საჯარო მოხელის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების რეალური მიზეზი იყო ის, რომ მან მართლმსაჯულების სისტემის მიმდინარე რეფორმა გააკრიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანების საფუძველად

⁹⁷ კასტელსი ესპანეთის წინააღმდეგ (Castells v. Spain), N 11798/85, 23 აპრილი, ECHR 1992.

⁹⁸ სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, გვ. 124.

⁹⁹ ბაკა უნგრეთის წინააღმდეგ (Baka v. Hungary), N20261/12, ECHR 2014

მითითებული იყო რეორგანიზაცია. აღნიშნული საქმე შეეხებოდა მოსამართლეს, რომელიც მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი წამყვანი ადმინისტრაციული თანამდებობიდან გაათავისუფლეს რეორგანიზაციის მოტივით, მას შემდეგ, რაც მან მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემები და მიმდინარე რეფორმა გააკრიტიკა. ევროპულმა სასამართლომ სარწმუნოდ არ მიიჩნია სახელმწიფოს არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ თანამდებობიდან განმცხადებლის გათავისუფლება წარმოადგენდა ამ თანამდებობის ფუნქციური ცვლილებებით გამოწვეულ აუცილებელ შედეგს. ის ფაქტი, რომ ამ თანამდებობის ფუნქციები ორად გაიყო, საკმარისი არ იყო იმ დასკვნისათვის, რომ ძველი თანამდებობის ფუნქციებმა არსებობა შეწყვიტეს. ეროვნული ხელისუფლების წინაშე საერთოდ არ დასმულა საკითხი იმის თაობაზე, თუ რამდენად შეძლებდა განმცხადებელი ახალ თანამდებობაზე მუშაობას, ასევე არ დასმულა საკითხი განმცხადებლის პროფესიული დამსახურებისა და კვალიფიკაციის შესახებ. ევროპულმა სასამართლომ სანდოდ მიიჩნია განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტები და საქმეში მოვლენების განვითარების თანმიმდევრობა, რომელიც სარწმუნოს ხდიდა განმცხადებლის იმ ვერსიას, რომ მისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა იყო არა უბრალოდ რეორგანიზაციის შედეგი, არამედ სინამდვილეში მის მიერ მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვით და მიმდინარე მართლმსაჯულების რეფორმის საჯაროდ გაკრიტიკებით იყო გამოწვეული. სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არ არსებობდა საფუძველი იმ დასკვნისთვის, რომ მომჩივნის მიერ გამოხატული მოსაზრებები ცდებოდა საქმიანი კრიტიკის დასაშვებ ფარგლებს ან ისინი შეიცავდნენ უსაფუძვლო პერსონალურ შეურაცხყოფას ან თავდასხმას. ამდენად, ევროპულმა სასამართლომ მოცემულ საქმეში კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევაც დაადგინა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ განიხილა საქმე¹⁰⁰ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ინსპექტირების სამმართველოს ისანი-სამგორის რაიონული განყოფილების ყოფილი მთავარი სპეციალისტის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით. საქმე მერიის თანამშრომლის სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებას ეხება.

აპელანტის განთავისუფლებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ იგი არ გამოცხადდა სავალდებულო ატესტაციაზე. მოსარჩელე მხარის განმარტებით გამოუცხადებლობის მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ საატესტაციო კომისიის წევრთა რიგებში თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის ყოფილი უფროსი იყო. მას შემდეგ, რაც თბილისის მერიაში ხელმძღვანელობა შეიცვალა, მომჩივანს განუცხადეს, რომ იგი პოლიტიკური ნიშნით იყო მიუღებელი თბილისის მერიის ახალი მენეჯმენტისთვის, რომელიც „ქართული ოცნების“ გუნდს

¹⁰⁰ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება, საქმე N38/279-16.

წარმოადგენდა. აღნიშნული კი გამორიცხავდა აპელანტის მიმართ ატესტაციის შედეგების ობიექტურ შეფასებას.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციულმა ორგანომ ვერ დაძლია მოსარჩელის მიმართ მის მიერ დისკრიმინაციის განხორციელებლობის მტკიცების ტვირთი, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში ასახული ფაქტები და გარემოებები სასამართლომ მიიჩნია საკმარის საფუძვლად დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტის დასადგენად და მათზე დაყრდნობით მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ, კერძოდ, თანამდებობაზე აღდგენის, განაცდური ხელფასისა და თბილისის მერიისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების შესახებ.

ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხებოდა დისკრიმინაციის შედეგად მოსარჩელის შრომითი უფლების შელახვას, სასამართლომ მიუთითა ისეთ საერთაშორისო აქტებზე როგორცაა: ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ევროპის სოციალური ქარტია. ასევე სასამართლომ მიმოიხილა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა, რომელიც შემდეგ მიუსადაგა საქმეზე არსებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს.

სააპელაციო პალატა ზემოთ მითითებული საერთაშორისო აქტების ანალიზის საფუძველზე აღნიშნავს, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობით დადგენილია ყველა სახის განსხვავებული მოპყრობის აკრძალვა, მაგრამ ამასთან, თუ განსხვავებული მოპყრობა განხორციელა სახელმწიფომ, მაშინ ამ განსხვავებულ მოპყრობას თან უნდა სდევდეს ობიექტური და გონივრული გამართლება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ სადავო შემთხვევაში სახეზეა მოსარჩელის მიმართ განხორციელებული განსხვავებული მოპყრობა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ისე, რომ მას თან არ ახლავს ობიექტური და გონივრული გამართლება კანონით განსაზღვრული მიზნის მისაღწევად, რაც ქმნის წინაპირობებს სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

და ბოლოს, დისკრიმინაციის ამ ნიშანთან მიმართებით უნდა ითქვას, რომ პოლიტიკური შეხედულებების გამო დისკრიმინაციად არ განიხილება იმ პირთათვის პოლიტიკური შეხედულებების საჯაროდ გამოხატვის აკრძალვა ან შეზღუდვა, ვისაც თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო „პოლიტიკური ნეიტრალიტეტის“

დაცვა ევალებათ (მაგალითად, მოსამართლეები, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, სამხედრო მოსამსახურეები).

განსჯადობა

2016 წელს კვლავაც პრობლემას წარმოადგენდა დისკრიმინაციის შესახებ განსჯადობის საკითხი. მაგალითად, როდესაც მოსარჩელეს ადმინისტრაციულ კოლეგიაში შეაქვს სარჩელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, საშვებულებო თანხის ანაზღაურების, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, სასამართლო ცალკე წარმოებად გამოყოფს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნას და განსახილველად უგზავნის განსჯად სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. შესაბამისად, ადმინისტრაციული კოლეგია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, განაცდურის ანაზღაურების, საშვებულებო თანხის ანაზღაურების ნაწილში აჩერებს წარმოებას სამოქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია კი მიუთითებს, რომ იგი ვერ შეაფასებს დისკრიმინაციული მოტივით მოხდა თუ არა მოსარჩელის გათავისუფლება, თუ არ განიხილავს სამსახურიდან გათავისუფლების საფუძვლებს. სასამართლოს მიერ დისკრიმინაციის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული სამსახურიდან გათავისუფლებასთან და მათი განცალკევება შეუძლებელია. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნის დამოუკიდებლად განხილვა გამოიწვევს იმას, რომ სამოქალაქო კოლეგიას მოუწევს იმსჯელოს სამსახურიდან გათავისუფლებაზე, რადგან სწორედ აღნიშნული წარმოადგენს სავარაუდო დისკრიმინაციულ ქმედებას, მან უნდა შეაფასოს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება და დისკრიმინაციის დადგენის შემთხვევაში დაავალოს დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრა, რაც ასეთ შემთხვევაში მოიცავს სამსახურში აღდგენას.

#	სასამართლო	განჩინება სასარჩელო მოთხოვნის ცალკე წარმოებად გამოყოფისა და განსჯადობით გადაგზავნის თაობაზე	განჩინება განსჯადობაზე დავის გამო საქმის საკასაციო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ
1.	თბილისის საქალაქო	4	5

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

სასამართლო	განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას	განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას	სულ
საქართველოს უზენაესი სასამართლო	5	1	6

ამონარიდი უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის Nბს-224-223 (გ-16) განჩინებიდან:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ დავის საგანს წარმოადგენს თ.ჭ-ისთვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის N16 ბრძანებისა და გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის N41 ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის და გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურება, დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტის დადგენა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა და მოითხოვოს მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

სამართალწარმოება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე დარეგულირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7³ კარით, რომელიც ამ კატეგორიის საქმეთა განხილვისათვის სპეციალურ წესს ადგენს. სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 363¹-ე მუხლის თანახმად, დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დისკრიმინაციის ფაქტის დადგენისა და მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის განხილვა სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა - დისკრიმინაციული ფაქტის დადგენისა და მისგან გამომდინარე მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დამოუკიდებლად, სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება, ხოლო სადავო სამართალურთიერთობა ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში - თ. ჭ-ისათვის შენიშვნის გამოცხადების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 16 ოქტომბრის N16 ბრძანებისა და მისი გათავისუფლების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ისნის რაიონის გამგებლის 2014 წლის 20 ოქტომბრის N41 ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენის, იძულებული განაცდურისა და გამოუყენებელი შვებულების თანხის ანაზღაურების თაობაზე, ატარებს საჯარო-სამართლებრივ შინაარსს და ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ძირითადი სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ხოლო ამ მოთხოვნის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, პროცესის ეკონომიურობის, მართლმსაჯულების სწრაფი და ეფექტურად განხორციელების, მოქალაქეთა ინტერესების გათვალისწინებით, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შემოწმებისას, სასამართლოს მხრიდან უნდა მოხდეს სასარჩელო მოთხოვნების ერთობლივი განხილვა.

შესაბამისად, მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ერთ-ერთი ბოლო და მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2016 წლის 15 სექტემბრის Nბს-349-345(გ-16) განჩინებაში, სადაც საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის განსჯადობას არ განაპირობებს ის, თუ რომელ საპროცესო კოდექსში არის გათვალისწინებული დისკრიმინაციასთან დაკავშირებული დავების განხილვის მომწესრიგებელი ნორმები. საჯარო

მმართველობის საქმიანობის კანონიერების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტის სტატუსის, უფლება-მოვალეობების, სამართალურთიერთობებში კანონით განსაზღვრული თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ქცევის წესისა და სტანდარტების სათანადო ანალიზის შედეგად. ამდენად, დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში მოქცევა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხები გამოვა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების სფეროდან. განსჯადობის ამგვარი გადაწყვეტა შედეგად გამოიწვევს თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების მნიშვნელოვანი დავების გადაცემას სამოქალაქო კატეგორიის დავების განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში”.

უზენაესი სასამართლოს განჩინებების ანალიზი ცხადყოფს, რომ საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობებიდან გამომდინარე, დისკრიმინაციის შესახებ დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული და არა სამოქალაქო სამართალწარმოების გზით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად: „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.“

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული მუხლის კონსტიტუციურ-სამართლებრივი შინაარსი ეტაპობრივად განიმარტებოდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში. ქვემოთ განვიხილავთ რამდენიმე გადაწყვეტილებას, სადაც შეჯამებულია ის მნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებსაც საკონსტიტუციო სასამართლო ამჟამად იყენებს დისკრიმინაციის შესახებ კონსტიტუციური სარჩელების განხილვისას.

2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად იმსჯელა მე-14 მუხლის კონსტიტუციურ-სამართლებრივ შინაარსზე: „კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება. აღნიშნული პრინციპი მოიცავს ხელისუფლების საკანონმდებლო საქმიანობის სპექტრს, რათა მოხდეს თანაბარ პირობებსა და გარემოებებში მყოფი ინდივიდებისათვის თანაბარი პრივილეგიების მინიჭება და თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრება. განსხვავებული საკანონმდებლო რეგულირება, რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში არ ჩაითვლება კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპის დარღვევად. კანონმდებელს უფლება აქვს, კანონით განსაზღვროს განსხვავებული პირობები, მაგრამ ეს განსხვავება უნდა იყოს დასაბუთებული, გონივრული და მიზანშეწონილი. უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დიფერენცირებულობის თანაბარი დონე ერთსა და იმავე პირობებში მყოფი სუბიექტებისათვის.“¹⁰¹

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა კრიტერიუმებზე, რომლებსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს განსხვავებული მოპყრობის მართლზომიერების შესაფასებლად. ამ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლოს არ უმსჯელია, თუ როგორ უნდა განიმარტოს მე-14 მუხლით აკრძალული ნიშნების numerus clausus პრინციპის მიხედვით შედგენილი ჩამონათვალი. თუმცა საკითხისადმი სასამართლოს დამოკიდებულება შემდეგი

¹⁰¹ მოქალაქეები - ჯანო ჯანელიძე, ნინო უბერი, ელეონორა ლაგვილავა და მურთაზ თოდრია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილება N2/7/219, § 1

ზოგადი ფორმულირებიდან ჩანს: „კანონის ნებისმიერი გამოყენება, რომელიც ემყარება ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის პრინციპს, განიხილება როგორც მიზანშეუწონელი და სრულიად მიუღებელი. აქედან გამომდინარე კი, წარმოადგენს როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების, ისე თანასწორობის პრინციპის დარღვევას.“¹⁰²

2008 წლის 31 მარტს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო საქმეზე - *საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*. სასამართლოს პრაქტიკაში ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც პირველად იძლევა სიღრმისეულ განმარტებას კონსტიტუციის მე-14 მუხლის შინაარსისა და მოცულობის თაობაზე, იგი სრულ შესაბამისობაშია დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სამართლის სტანდარტებთან.

აღნიშნულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა შემდეგი: მცირე საწარმოებში დასაქმებულმა 67 პირმა გაასაჩივრა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის ნორმა, რომელიც ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების პროფილის მცირე საწარმოებში დასაქმებულ პირებზე ამ საწარმოების პირდაპირი მიყიდვის წესით პრივატიზების შეღავათიან რეჟიმს აწესებდა მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. აღნიშნული ნორმის კონსტიტუციურობა სადავო იყო კონსტიტუციის მე-14 (კანონის წინაშე თანასწორობის უფლება) და 31-ე (ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ზრუნვის ვალდებულება) მუხლებთან მიმართებით.

გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი ადგენს არა მხოლოდ კანონის წინაშე თანასწორობის ძირითად უფლებას, არამედ კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტურ კონსტიტუციურ პრინციპს. მისი მიზანია, უზრუნველყოს თანასწორობა კანონის წინაშე, არ დაუშვას არსებითად თანასწორის განხილვა უთანასწოროდ და პირიქით.“ ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ დისკრიმინაციის აკრძალული ნიშნების ჩამონათვალი ვრცლად უნდა განიმარტოს: „ამ მუხლში არსებული ნიშნების ჩამონათვალი, ერთი შეხედვით, გრამატიკული თვალსაზრისით, ამომწურავია, მაგრამ ნორმის მიზანი გაცილებით უფრო მასშტაბურია, ვიდრე მხოლოდ მასში არსებული შეზღუდული ჩამონათვალის მიხედვით დისკრიმინაციის აკრძალვა. მხოლოდ ვიწრო გრამატიკული განმარტება

¹⁰² ნანა მჭედლიძე - საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, 2015, გვ.15

გამოფიტავდა საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლს და დააკნინებდა მის მნიშვნელობას კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში.”¹⁰³

სასამართლომ გამოარკვია, რომ სადავო ნორმა არსებითად თანასწორ პირებს აყენებდა სამართლებრივად არათანასწორ მდგომარეობაში. ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა პირთა გარკვეული კატეგორიისათვის, თუ ისინი იყვნენ დასაქმებულნი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ მცირე საწარმოებში. ხოლო საქართველოს დანარჩენ ნაწილში იგივე ტიპის საწარმოებში დასაქმებულ პირებზე იგივე საკანონმდებლო რეჟიმი არ ვრცელდებოდა. მაგრამ ნათელი იყო ისიც, რომ პარლამენტის მიზანს არ წარმოადგენდა მოსარჩელეთა და მათ მდგომარეობაში მყოფი პირების უთანასწორო მდგომარეობაში ჩაყენება, თუმცა საკონსტიტუციო სასამართლომ პირველად დაადგინა, რომ „კანონის წინაშე თანასწორობის მოთხოვნის დარღვევის დადგენისას არ არის სავალდებულო, რომ უთანასწორო სამართლებრივი მდგომარეობის შექმნა წარმოადგენდეს შესაბამისი ნორმის მიმღები ორგანოს მიზანს. ამ შემთხვევაში, მთავარია არა კანონმდებლის განზრახვა, არამედ რეალური შედეგი, რაც იქნა მიღებული.” აქვე უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით, საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა მე-14 მუხლის კონსტიტუციურ-სამართლებრივ ფარგლებზე და დაადგინა, რომ „შესაძლებელია არათანასწორი მოპყრობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება. ამისათვის, სადავო ნორმის მიღებას უნდა ჰქონდეს საკმარისად წონადი, გონივრული და მნიშვნელოვანი მიზნები, კანონმდებლის მოქმედება უნდა იყოს საგნობრივად გამართლებული, არათვითნებური და თანაზომიერი.”


სადავო ნორმის საკანონმდებლო ისტორიის შესწავლის საფუძველზე, სასამართლომ დაადგინა, რომ 1994 წლის 29 მაისს, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის N178 ბრძანებულებით „პრივატიზაციის პროცესის მოწესრიგებისა და დაჩქარების ზოგიერთი ღონისძიების შესახებ” დამტკიცდა დებულება, რომლითაც ერთი წლის განმავლობაში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მომსახურების სფეროს საწარმოების მუშაკებზე პირდაპირი მიყიდვის წესით უნდა მომხდარიყო შესაბამისი საწარმოების პრივატიზება. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე მცირე საწარმოების პრივატიზება არ მომხდარა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პოლიტიკური მიზეზებისა და ადგილობრივი ხელისუფლების გამო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ შეღავათების დაწესება, მოცემულ შემთხვევაში, „წარმოადგენდა ამ პირთა მიმართ სამართლიანობის აღდგენისა და მათი სოციალური ინტერესების დაცვის ოპტიმალურ, სათანადო და აუცილებელ გზას,” ანუ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასამართლომ იმსჯელა პოზიტიურ დისკრიმინაციაზე. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობდა კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მიღწევის სხვა უფრო

¹⁰³ საქართველოს მოქალაქე შოთა ბერიძე და სხვები საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N2/1-392.

ხელსაყრელი და უკეთესი საშუალება. შესაბამისად, დადგინდა, რომ სადავო ნორმა შეესაბამებოდა კონსტიტუციის მე-14 მუხლს.

მეორე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო 2010 წლის 27 დეკემბერს საქმეზე - *მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*.¹⁰⁴ აღნიშნულ საქმეში სასამართლომ განსხვავებული მოპყრობის კონსტიტუციურობის შემოწმების კრიტერიუმები უფრო დააკონკრეტა. კერძოდ, ამ გადაწყვეტილების თანახმად, პირველ რიგში სასამართლომ უნდა დადგინოს: 1) პირები (პირთა ჯგუფები) წარმოადგენენ თუ არა არსებითად თანასწორებს; ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს პირები შედარებად კატეგორიებს უნდა წარმოადგენდნენ; ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში; ერთი და იგივე პირები გარკვეულ ურთიერთობასთან, ვითარებასთან მიმართებით შეიძლება განხილულ იქნენ არსებითად თანასწორად, ხოლო სხვა გარემოებებთან მიმართებით - არა. 2) აშკარა უნდა იყოს არსებითად თანასწორი პირების მიმართ განსხვავებული მოპყრობა (ან არსებითად არათანასწორი პირების მიმართ თანასწორი მოპყრობა) ამა თუ იმ ნიშნის საფუძველზე, უფლებებით დაცული სფეროების მიხედვით.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნული გადაწყვეტილებიდან მოყოლებული, განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს მე-14 მუხლში მოხსენიებულ „კლასიკურ“ და აქ აღუნიშნავ - „არაკლასიკურ“ ნიშნებს.¹⁰⁵ კერძოდ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით:



¹⁰⁴ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/1/493.

¹⁰⁵ ნანა მჭედლიძე - საქართველოში დისკრიმინაციის საქმეებზე შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენების გზამკვლევი, 2015 წელი, გვ.18.

„კლასიკური, სპეციფიური ნიშნებით დიფერენციაციისას სასამართლო იყენებს მკაცრი შეფასების ტესტს და ნორმას აფასებს თანაზომიერების პრინციპის მიხედვით, ამასთან, მკაცრი ტესტის” ფარგლებში ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი”. დანარჩენ შემთხვევაში მკაცრი ტესტის გამოყენების საჭიროებას სასამართლო ადგენს დიფერენციაციის ინტენსივობის ხარისხის მიხედვით”. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში:

მკაცრი შეფასებისა და რაციონალური დიფერენცირების ტესტებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. პირველი გულისხმობს თანაზომიერების პრინციპის გამოყენებას და ლეგიტიმური მიზნის დასაბუთებისას საჭიროა იმის მტკიცება, რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა არის აბსოლუტურად აუცილებელი, არსებობს „სახელმწიფოს დაუძლეველი ინტერესი”¹⁰⁶ მაშინ, როდესაც „რაციონალური დიფერენცირების ტესტის” ფარგლებში საკმარისია “ა)დიფერენცირებული მოპყრობის რაციონალობის დასაბუთებულობა, მათ შორის, როდესაც აშკარაა დიფერენციაციის მაქსიმალური რეალისტურობა, გარდუვალობა ან საჭიროება; ბ)რეალური და რაციონალური კავშირის არსებობა დიფერენციაციის ობიექტურ მიზეზსა და მისი მოქმედების შედეგს შორის.”¹⁰⁷

განვიხილოთ კიდევ ერთი საქმე, საქართველოს მოქალაქეები - *ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ*.¹⁰⁸ დავის საგანს წარმოადგენდა შემდეგი: მოსარჩელები ასაჩივრებდნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების ნორმას („სისხლისა და მისი კომპონენტების დონორების წინააღმდეგ ჩვენებების განსაზღვრის შესახებ” 2000 წლის 5 დეკემბრის N241/ნ ბრძანების N1 დანართის 24-ე მუხლისა და „სისხლის გადასხმის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სავალდებულო ნორმატივების დამტკიცების შესახებ” 2007 წლის 27 სექტემბრის N282/ნ ბრძანების N1 დანართის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისი ნაწილები)

¹⁰⁶მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/1/493.

¹⁰⁷ საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება, საქმე N2/1/473, II-6

¹⁰⁸ საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N2/1/536.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 (კანონის წინაშე თანასწორობის უფლება) და მე-16 (პიროვნული თვითგანვითარების უფლება) მუხლებთან მიმართებით. სადავო ნორმების თანახმად, ჰომოსექსუალიზმი წარმოადგენდა შიდასის რისკჯგუფს. შიდასის რისკჯგუფისადმი მიკუთვნება, თავის მხრივ, სისხლის დონორობის აბსოლუტურ წინააღმდეგ ჩვენებად ითვლება და შედეგად, ჰომოსექსუალებს ეკრძალებოდათ ყოფილიყვნენ სისხლის დონორები.

თავდაპირველად სასამართლო დადგა ჰომოსექსუალიზმის, როგორც ტერმინის განმარტების საჭიროების წინაშე. სასამართლომ მიუთითა, რომ ის ვერ იქნება გაგებულ, „როგორც მხოლოდ სქესობრივი ქცევის ერთ-ერთი ფორმა, მასში ასევე შეიძლება მოაზრებულ იქნეს სექსუალური ორიენტაცია“.¹⁰⁹

ასევე, კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით სადავო ნორმების შეფასებისას, სასამართლომ დაადგინა, რომ ჰომოსექსუალიზმის ქვეშ მოაზრებული პირები ექვემდებარებოდნენ დიფერენცირებულ მოპყრობას იმ პირებთან შედარებით, რომელთათვისაც სექსუალური ქცევისა და ორიენტაციის მიუხედავად სისხლისა და მისი კომპონენტების დონაცია არ იყო აკრძალული.¹¹⁰

როგორც ზემოთ განხილულ მაგალითებში ვახსენეთ, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სადავო ნორმების შეფასებისას სასამართლო იყენებს ორგვარ, რაციონალური დიფერენცირებისა და მკაცრი შეფასების თანაზომიერების ტესტს. შეფასების რომელ ტესტს გამოიყენებს სასამართლო, ასევე დამოკიდებულია უთანასწორო მოპყრობის ინტენსივობაზე. კერძოდ, განსახილველ საქმეში საკონსტიტუციო სასამართლომ განსხვავებული მოპყრობა შეაფასა მკაცრი ტესტის გამოყენებით, რადგან მხედველობაში მიიღო „არსებითად თანასწორი პირები რამდენად მნიშვნელოვნად განსხვავებულ პირობებში მოექცევიან, ანუ დიფერენციაცია რამდენად მკვეთრად დააცილებს თანასწორ პირებს კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებისაგან“¹¹¹ (ჰომოსექსუალებს განუსაზღვრელი ვადით და უგამონაკლისოდ ეკრძალებოდათ სისხლის დონორობა).

¹⁰⁹ საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536, II-16

¹¹⁰ საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბომე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N2/1/536, II-18

¹¹¹ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები “ახალი მემარჯვენეები” და “საქართველოს კონსერვატიული პარტია” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/1/493, II-6;

აქვე უნდა შევხვით ერთ საკითხსაც, სასამართლოში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით მამაკაცებს შორის სქესობრივი ურთიერთობებისას ინფექციის გავრცელების რისკი მომეტებულია. შესაბამისად, სადავო ნორმები ემსახურებოდა მკაფიო ლეგიტიმურ მიზანს - სისხლისა და მისი კომპონენტების მიმღებ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას, ინფექციური დაავადების შეძენის მაღალი რისკის მქონე დონორების ჩამოშორების გზით ტრანსფუზიის პროცესისგან. ამასთან სისხლის სამედიცინო შემოწმება სრულად ვერ გამორიცხავს დონორიდან რეციპიენტზე აივ-ვირუსის გადასვლის რისკებს, რადგან არსებობს ე.წ. „ფანჯრის პერიოდი“ – ვირუსის ინკუბაციის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ანალიზი ვერ ავლენს სისხლში ვირუსის არსებობას. „ფანჯრის პერიოდში“ არსებული რისკები საჭიროდ ხდის სისხლის სამედიცინო შემოწმების გარდა, დამატებით ღონისძიებებს - ანამნეზით შესაძლო დონორის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას ექიმის მიერ.

ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ სტანდარტულ ტესტებს რამდენიმე თვე სჭირდებათ, ახალი სამედიცინო ტექნოლოგიები კი „ფანჯრის პერიოდს“ ამცირებს რამდენიმე დღემდე. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გარკვეული დროის შემდეგ, სისხლში ვირუსის არსებობის უტყუარად იდენტიფიცირება შესაძლებელია. ამდენად, შესაძლებელი იყო აბსოლუტური (დროში შეუზღუდავი) წინააღმდეგ ჩვენების ნაცვლად, ჰომოსექსუალ პირთა „მსმ“ ჯგუფისთვის შეფარდებითი (დროებითი) წინააღმდეგ ჩვენების დადგენა „ფანჯრის პერიოდის“ ვადით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები შეიცავდა გაუმართლებლად მკაცრ უთანასწორო მოპყრობას და უფლებას ზღუდავდა საჭიროზე მეტად, რადგან ერთი მხრივ, სარისკო სექსუალური ქცევის მქონე ჰომოსექსუალ მამაკაცებთან მიმართებით ადგენდა აბსოლუტურ აკრძალვას „ფანჯრის პერიოდის“ მიღმაც, ხოლო მეორე მხრივ, ტერმინი ჰომოსექსუალიზმის ფართო შინაარსიდან გამომდინარე, აკრძალვა ვრცელდებოდა ისეთ პირებზეც, რომლებიც არ იყვნენ დაკავებული სარისკო სექსუალური ქცევით. ამრიგად, სადავო ნორმები არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

კიდევ ერთი საინტერესო საქმე იყო საქართველოს *სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*,¹¹² სადაც საქართველოს სახალხო დამცველი სადავოდ

საქართველოს მოქალაქეები - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე N2/1/536, II-30

¹¹² საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/1/477.

ხდიდა „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის კონსტიტუციურობას კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი) და მე-19 მუხლის პირველ და მე-3 პუნქტებთან (რწმენის თავისუფლება) მიმართებით. სადავო ნორმა სარეზერვო სამხედრო სამსახურის გავლას აკისრებდა საქართველოს თითოეულ მოქალაქეს, იმ პირების ჩათვლით, რომლებსაც ჰქონდათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ანუ რომელთაც რწმენა უკრძალავდა სამხედრო სამსახურის გავლას.

სასამართლომ მიუთითა, რომ ცალკეულ შემთხვევებში (და არა ზოგადად), რწმენის კონკრეტული გამოვლენის უარყოფის იძულებით სახელმწიფო შეიძლება ძალიან ახლოს იდგეს რწმენის თავისუფლების შინაგანი სფეროს დარღვევასთან. სადავო ნორმა გულისხმობდა კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე პირების იძულებას - ემოქმედათ საკუთარი რწმენის წინააღმდეგ და მოეხადათ სამხედრო სარეზერვო სამსახური. უარის შემთხვევაში, მათ დაეკისრებოდათ პასუხისმგებლობა.

ამდენად, სადავო ნორმა წარმოადგენდა რწმენის თავისუფლებაში გაუმართლებლად მძიმე ჩარევას, რომელიც პრაქტიკულად უფლებით სარგებლობის შეუძლებლობას უტოლდებოდა. ამასთან მიზნის მიღწევა შეიძლებოდა ნაკლები ჩარევის გზით - შეიძლებოდა ალტერნატიული, შრომითი სამსახურის შემოღება რეზერვში გაწვეული პირებისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით განმარტა, რომ სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის ერთნაირი ვალდებულების დაწესებისას, კანონი მიზნად არ ისახავდა რელიგიური ან სხვა რომელიმე უმცირესობის შევიწროებას. თუმცა სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონის ნეიტრალური ბუნება თავისთავად და ყოველთვის არ გამოორიცხავს გაუმართლებელ დიფერენციაციას. „ზოგადი და ნეიტრალური კანონი, თუ ის ითვალისწინებს ყველას მიმართ, მათ შორის, არათანასწორთა მიმართ თანაბარ მოპყრობას, თავადვე არღვევს თანასწორობის პრინციპს. მაშასადამე, ზოგადი დანიშნულების კანონი შეიძლება არაპირდაპირ დისკრიმინაციული იყოს, რადგან ის ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფს, დანარჩენებთან შედარებით, აკისრებს გაცილებით მძიმე ტვირთს.“¹¹³ ვინაიდან რეზერვისტები შეიძლება იყვნენ განსხვავებული რწმენის პირები, მათ შორის, იმ რწმენის მატარებლები, რომელიც წარმოშობს კეთილსინდისიერ წინააღმდეგობას, ნეიტრალური შინაარსის კანონი მათთვის ერთნაირი ვალდებულების დადგენით, ფაქტობრივად აწესებდა განსხვავებულ, უთანასწორო რეჟიმს.

¹¹³ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/1/477, II-65.

თანასწორობის უფლებაში ჩარევის შეფასებისას, სასამართლომ აღნიშნა: „როდესაც ნორმა, ერთი მხრივ, იწვევს კონკრეტული პირების რწმენის თავისუფლების დარღვევას, ხოლო მეორე მხრივ ზუსტად რწმენის ნიშნით ახდენს იგივე პირების დიფერენცირებას დანარჩენი პირებისაგან, ანუ რწმენის ნიშნით დიფერენცირებულ პირთაგან ნაწილის რწმენის თავისუფლების დარღვევას იწვევს, შეუძლებელია ის კანონის წინაშე რწმენის ნიშნით თანასწორობის კონსტიტუციურ მოთხოვნებს პასუხობდეს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაშიც, სადავო ნორმა საჯარო მიზნების მიღწევის არაპროპორციულ საშუალებას წარმოადგენს და იწვევს თანასწორობის უფლების დარღვევას.”¹¹⁴

ამდენად, სადავო ნორმის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც სამხედრო სარეზერვო სამსახურის მოხდის მოვალეობას ადგენს იმ პირთა მიმართ, ვინც რწმენის თავისუფლების მოტივით უარს აცხადებენ სამხედრო სარეზერვო სამსახურზე, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი როგორც კონსტიტუციის მე-19 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებთან, ისე კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებითაც.

საქმეში *საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ*,¹¹⁵ მოსარჩელე, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა თავისი საცხოვრებელი სახლი ქარელის სოფელ დვანში, ასაჩივრებდა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის ნორმას, რომლის თანახმადაც, დევნილად ითვლებოდა მხოლოდ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები. აღნიშნული ნორმა სადავო იყო კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (კანონის წინაშე თანასწორობის უფლება) მიმართებით.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით პირის დევნილად ცნობისათვის არსებობდა რამდენიმე აუცილებელი პირობა: ა) პირის იძულებით გადაადგილების ფაქტი; ბ) პირის იძულებით გადაადგილება იმ მიზეზით, რომ საფრთხე შეექმნა მას ან მისი ოჯახის სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და თავისუფლებას; გ) პირის იძულებით გადაადგილება უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიისა და უფლებათა მასობრივი დარღვევის საფუძველზე. თუმცა ეს არ იყო საკმარისი. გადამწყვეტი იყო სადავო ნორმით დადგენილი მოთხოვნა - დასახელებული

¹¹⁴ საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე N1/1/477, II-79.

¹¹⁵ საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/534.

საფუძვლებითა და მიზეზებით პირის იძულებით გადაადგილება უნდა მომხდარიყო უშუალოდ ოკუპირებული ტერიტორიიდან. შესაბამისად, კანონის რეგულირების სფეროში არ მოექცნენ და თანმდევი სოციალური გარანტიების გარეშე დარჩნენ მოსარჩელის მდგომარეობაში მყოფი პირები, რომელთა საცხოვრებელი ადგილი მდებარეობდა ოკუპირებულად აღიარებული ტერიტორიის მიმდებარედ, მაგრამ არ იყო ცნობილი ოკუპირებულად. ამ პირებმაც ოკუპაციის გამო დატოვეს სახლები და უსაფრთხოების გარანტიების არარსებობის გამო ვერ დაბრუნდნენ უკან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადაადგილებული პირები და იმ ტერიტორიებიდან გადაადგილებული პირები, სადაც ფაქტობრივად არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, არსებითად თანასწორნი არიან იძულებით გადაადგილების საფუძვლების, მიზეზების, უფლებათა დარღვევის მდგომარეობის, განვლილი და მოსალოდნელი საფრთხეების მიხედვით.¹¹⁶

სასამართლომ აქვე ძალიან მნიშვნელოვან საკითხს გაუსვა ხაზი, ოკუპაცია „მცოცავია“ და უცხო ქვეყნის სამხედრო ძალების თვითნებური მოქმედებების გამო იმ ტერიტორიების გეოგრაფია, სადაც ფაქტობრივად საქართველოს იურისდიქცია არ მოქმედებს, მუდმივად იცვლება. სასამართლომ მნიშვნელოვნად მიიჩნია ის, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც კანონით არ არის ცნობილი ოკუპირებულ ტერიტორიად და საოკუპაციო ძალების ქმედების შედეგად, ფაქტობრივად, ოკუპაციის ზოლში მოექცა, მდგომარეობა არის იგივე, რაც ოკუპირებულ ტერიტორიაზე.¹¹⁷

სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო ნორმა მიმართული იყო ტერიტორიის ოკუპაციის შედეგად დაზარალებული პირების მიმართ სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ვალდებულებების აღებისა და იმ მოწყვლადი ჯგუფის დაცვისკენ, რაც კონსტიტუციით გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზანს წარმოადგენდა. თუმცა სადავო ნორმა არ წარმოადგენდა მიზნის მიღწევის ვარგის, დასაშვებ საშუალებას, რადგან „მოსარჩელე მამაგულაშვილი და დევნილები არიან არსებითად თანასწორი პირები და სადავო ნორმა ახდენს მათ დიფერენცირებას - „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ანიჭებს დევნილის სტატუსს და ამ სტატუსიდან გამომდინარე, კანონით გათვალისწინებულ გარანტიებს, ხოლო

¹¹⁶ საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/534, II-18.

¹¹⁷ გამოხატვის და ინფორმაციის თავისუფლების, დისკრიმინაციის აკრძალვისა და საკუთრების უფლების შესახებ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები, USAID, EAST WEST MANAGEMENT INSTITUTE – (კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში) (PROLOG), გვ. 15.

მიმდებარე ტერიტორიიდან იგივე საფუძვლითა და მიზეზით იძულებით გადაადგილებულ პირს ტოვებს ასეთი გარანტიების მიღმა.”¹¹⁸ ამდენად, სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი კონსტიტუციის მე-14 მუხლთან მიმართებით.

¹¹⁸ საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება, საქმე N1/3/534, II-22.

დასკვნა

წინამდებარე კვლევაში განხილულ იქნა დისკრიმინაციის საკითხებზე საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკა, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ჭრილში.

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და მათი ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებებში გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლებას უწყობს ხელს.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ადამიანის უფლებათა ნორმების გამოყენება სასამართლოს მიერ მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გამოყენების შედეგად სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელსაც იგი ვერ მიიღებდა კონვენციის გამოუყენებლად. თუ მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტის (მაგ. კანონის) გამოყენების შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება იდენტური იქნება იმ გადაწყვეტილებისა, რომლის მისაღებად სასამართლომ გამოიყენა როგორც კანონი, ისე საერთაშორისო აქტი, ამ უკანასკნელის გამოყენებას მიენიჭება უმნიშვნელო როლი. ასეთ შემთხვევაში, კონვენცია პრაქტიკულად არანაირ გავლენას არ მოახდენს სასამართლო გადაწყვეტილებაზე.

სასამართლო საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ გამოყენებულმა საერთაშორისო აქტებმა ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულმა სამართალმა, გავლენა არ იქონია სასამართლო გადაწყვეტილებებზე ან მათი გავლენა ძალზედ უმნიშვნელოა. უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო მას იყენებს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (აქტებთან) ერთად. დისკრიმინაციის საკითხებთან მიმართებით, მოსამართლე იხილავს საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმას, რის შემდეგაც ციტირებას ახდენს ან/და ანალიზებს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-14 მუხლსა და ამავე კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლს. ამის შედეგად, სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტითა და საერთაშორისო აქტით დადგენილი სტანდარტები მსგავსია და სასამართლო ამ ორი აქტის საფუძველზე წყვეტს სასამართლო დავას. ამ მხრივ, უმჯობესია საერთო სასამართლოების პრაქტიკა განვითარდეს იმგვარად, რომ მოსამართლეებმა ხშირად გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით, ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს.

კვლევამ დაგვანახა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების გამოყენება საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისთვის თვითმიზანს არ წარმოადგენს, მაგრამ პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის რამდენიმე გადაწყვეტილება, რომელშიც მოსამართლეები სიღრმისეულად მიმოიხილავენ ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომელსაც შემდგომ ზედმიწევნით ზუსტად მიუსადაგებენ საქმეში არსებულ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს.

საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკის გამოყენება ძირითადად ხდება ქუთაისის, ბათუმისა და თბილისის სასამართლოებში.

შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული საქმეების შესწავლამ გამოავლინა, რომ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს წინასახელშეკრულებო ურთიერთობებში დისკრიმინაციის აკრძალვის უფლებებელყოფის შემთხვევებში უფლების დაცვის საკითხი. მოსარჩელის/მოპასუხის მიერ დისკრიმინაციულ მოტივზე აპელირების მიუხედავად, სასამართლოები შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძვლების კანონიერების შეფასებისას ხშირ შემთხვევაში შემოიფარგლებიან მხოლოდ შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობით, ევროპის სოციალური ქარტიით, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, სოციალური ეკონომიკური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1982 წლის N158 კონვენციით.

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონის მიღებიდან, საქართველოს საერთო სასამართლოებში, შეიქმნა არაერთი პრეცედენტი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის კუთხით. მოსამართლეების მხრიდან ხდება თანასწორობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების განსამარტად გაერთიანებული ერების „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის გამოყენება.

და ბოლოს, საერთაშორისო აქტების გამოყენების სიმცირე იმაზე მიუთითებს, რომ საჭიროა დისკრიმინაციის საკითხებზე მოსამართლეთათვის ტრენინგების რაოდენობის გაზრდა; სახელმძღვანელოებისა და მეტი ქართულენოვანი ლიტერატურის მომზადება და გამოცემა; საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, ანალიზი და განზოგადება.

რეკომენდაციები

1. გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები (აღნიშნული რეკომენდაცია გვხვდება საერთაშორისო ორგანიზაციის არაერთ ანგარიშში¹¹⁹) მოსამართლეებისა და თანამშრომლებისთვის, ასევე სასამართლოებში მომუშავე ანალიტიკური სამსახურის თანამშრომლებისთვის, დისკრიმინაციის საკითხებზე საერთაშორისო სტანდარტების თაობაზე;
2. ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, განხორციელდეს მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების ქართულ ენაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. ყოველწლიურად ჩატარდეს დისკრიმინაციული შინაარსის მქონე საქმეთა შესწავლა და განზოგადება. აღნიშნული ხელს შეუწყობს გადაწყვეტილებათა დასაბუთების ხარისხის გაუმჯობესებას და წარმოაჩენს საინტერესო მიგნებებს იუსტიციის უმაღლესი სკოლისა და დონორი ორგანიზაციებისთვის ტრენინგ მოდულების დაგეგმვის მიზნით.

¹¹⁹ გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის შესახებ სამუშაო ჯგუფის 2015 წლის 13 იანვრის ანგარიში, §117.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ 2015 წლის 8 დეკემბრის ევროპული კომისიის მოხსენება (მონიტორინგის მეხუთე ციკლი) საქართველოს შესახებ, §65-67.